ფასი 25 კაპ. | იანვრის 25 | 1925 წ. № 3

გიორგი წერეთელი (1842—1900)

გარდაცვალებიდან 25 წლის შესრულების გამო

მ. თოიძის ნახატიდან.

(იხ. ამავე ნომერში ივ. გომართლის წერილი და კ. თავართქილაძის მოგონება)

შინაარსი: **მეთაური**—ცეცხლი ამირანისა; **ენგი**—ლენინი და ხელოვნება; **ივ. გომართელი**—გიორგი წერეთელი; **მარმარელი**—ეროვნული თეატრისათვის; **გიშერა**—რა თავი ავიგდე! **ელლეონორ კანდელაკი**—სახე გვირილებში; **ვ. ხორეთელი**—მე წინ მივდივარ; **იოსებ არიმათიელი**—ორი დღესასწაული; **ვარ. რუხ ხაძე**—პირველი მსხვერპლი (პოემა, გაგრძელება); **არნო ონელი**—სნეული ქალი; **ვანლერ დაისელი**—ელვისა; **კ. თავართქილაძე**—ერთობის მქადაგებელი; **შალვა გომართელი**—პროლეტარული თეატრი; **კენტავრი**—თეატრები პროვინციაში; **გრ. კუნჭულია**—საზოგადო მოღვაწენი: დ. კ. ერისთავი; **კ. პ.**—რუსული კინო; სათეატრო მიმოხილვა, ქრონიკა და სხვ.

მიიღება 1925 წლის ხელის მოწერა

სამხატვრო-სათეატრო-სახელოვნო სურათებიან ჟურნალ

„თეატრი და ცხოვრება“-ზე

1910 წ. **XV** წელიწადი გამოცემისა **XV** **1925 წ.**

„თეატრი და ცხოვრება“-ს **წლიური ხელისმოწერნი მიიღებენ:** გარდა ჟურნალის, ყოველ სამ თვეში ერთჯერ **უფასო პრემიას**—წელიწადში **ოთხ წიგნს „ცხოვრების სარკე“-ს** რომელშიაც დაბეჭდილი იქნება **სარეპერტუარო კლასიკური და თანამედროვე რჩეული პიესები.**

„თეატრი და ცხოვრება“ გაზეთი, ოთხივე დამატებით, ეღირება წლიურად—**10 მან., ხელის მოსაწერი** ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილად შეიძლება: ხელის მოწერის დროს—3 მ., აპრილის 1-ისთვის—2 მ., მკათათვის 1-სთვის 2 მან., ოქტომბრისთვის 1-ისთვის—3 მან., **ხელის მოწერა მიიღება** რედაქციაში რუსთაველის **პრ. № 34.** ტფილისი, რუსთაველის **პრ. 34.** რედ. „თეატრი და ცხოვრება“—რედაქცია ღიაა: დილით 9—3 ს., ნაშუადღევს 5—7 ს.

პასუხისმგებელი ხელმძღვანელი: სარედაქციო კოლეგია.

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.

მოითხოვეთ ბუნებრივი კახური ღვინო კოოპერატიული

საზოგადოება „კახეთი“-სა არს. 1895 წ.

ყველა პირველ-ხარისხოვან რესტორან-სასადილოებში და გასტრონომიულ მაღაზიებში იყიდება

მთავარ საწყობის ფასებში

ღვინო მხოლოდ კახური

თეთრი „ქარდანახი“: № 2.
„ „ბრძელმინდლარი“ განსაკუთრ. დაკვეთა „ა“.
„ „წარაფი“ განსაკუთრებული დაკვეთა „ბ“.
წითელი „ყვარელი“ № 2.

„ „ბრძელმინდლარი“ განსაკუთ. დაკვეთა „ა“.
„ „ჩუმლაყი“ განსაკუთრებული დაკვეთა „ბ“.
ევროპ. „ნაფარეული“ და „მუკუზანი“.
ტკბილი „მადერა“ და „პორტვეინი“.

გამგეობა, მთავარი კანტორა და მთავარი საწყობი

ტფილისი, გოგოლის ქ. **№ 63** ტელეფონი **4-65**

დასამზადებელი პუნქტები და საწყობები ქარდანახში და თელავში (კახეთი).

განყოფილებანი: ბაქოში, ბათომში და საქართველოს **მნიშვნელოვან** პუნქტებში.

წარმომადგენლობა: მოსკოვში, ლენინგრადში, **როსტოვში, პიატიგორსკში** და **სხვა მნიშვნელოვან** პუნქტებში.

მცირე თეატრი

(რუსთავ. თეატრის პირ.) პარასკევს 30 იანვარს

ქართულ ახალგაზრდა ხელოვანთა ჟურ. **„სომნამბულები“-ს** ფონდის გასაძლიერებლად გაიმართება დიდი ესთეტიური **საღამო.** 1. სიტყვა, 2 მუსიკა, 3 დეკლამაცია, 4 პოეტები,

საღამოს მომწყობი კოლეგია „სომნამბულები“-ს. **არ დარჩეთ არც ერთი. ყველა ამ საღამოზე!!!**

1910—1925

წელიწადი XV

№ 3

(360)

ფასი 25 კაპ.

„თეატრი და ცხოვრება“
ყოველკვირეული სურათებიანი ჟურნალი.

რედაქციის მისამართი: რუსთველის პრ. № 34, დარაბა № 761.

ფოსტით: ტფილისი, რედაქცია „თეატრი და ცხოვრება“,

იოსებ იმედაშვილს.

თეატრი, პოეზია, მუსიკა, მხატვრობა, ქანდაკება, საზოგადოებრივი ცხოვრება.

დაარსდა 1910 წ. | იანვრის 25 | გამოცემა 1925 წ.

ცეცხლი ამირანისა

ეს ის ცეცხლია, პრომეთემ რომ ღმერთებს მოსტაცა ადამიანთა საკეთილდღეოდ:

ის უნილავი ძალა, ხელოვნების შინაგან სითბოს რომ ჰქმნის და ადამიანთა მოდგმას სულიერად ამაღლებს.

ღვივის-ღა ამ ჟამად ე. წ. ხელოვანთა შორის ეს ცეცხლი?

დღეს, როდესაც თვით მშრომელი ხალხი შეიქნა თავის ბედის მესაჭე, უმეტეს ხელოვნება უნდა მიუძღოდეს მას ახალ-ახალ გამარჯვებისა და სრულქმნისაკენ.

ამირანის ცეცხლის ერთი პირველთაგანი კერა — თეატრი — დღეს დიდს ბედისწერის ჭიდილშია, სულისკვეთებაში.

საერთო მიზეზებს სათავისოც ემატება.

ბევრ ადგილას სასცენო საქმიანობის ირგვლივ პირადი ენინით გატაცებულნი, კერძო გამორჩენის მოტრფიალენი ფუსფუსებენ: ობმოდებულ მრწამსს ვერ განშორებიან, მეორენი ვითომდა „ახალით“ გატაცებულნი ცხოვრების სინამდვილეს სცილდებიან. ერთგან რომ ხელოვნებისა მხოლოდ მხრჩოლავი ბოლია, მეორეგან — ულითბო პრიალა ალი, ერთგან რომ ჯღან-ჯღუნი, დახავსებული მორთულობა, ერთ-ფეროვნება თვალსა და სმენას დაგიხშობს, — მეორეგან ყოვლად შეუფერებელი სანახაობა გაგაოცებს, — ფიქრობ და ვერ მიმხვდარხარ მისს დანიშნულებას:

ცეცხლი ანთია — ვერ-კი თბები, ოშხივარით სული გეხუთება, სიცივით-კი იკრუნჩხები..

ერთერთს ჩვენს წინა წერილში ვსთქვით, რომ საჭიროა „კარგი რეპერტუარი ხელოვნურ დადგმაში“.

რას ნიშნავს ეს? — აი, რას: ძირეულად უნდა გადახალისდეს ჩვენი თეატრალური საქმიანობა: მუდამ ძველის ცოხნა — ერთ ადგილის უქმი ტკეპნაა. თანამედროვე აგუზგუზებული სახელოვნო ცხოვრება მოითხოვს არა თუ ამირანის ცეცხლს, არამედ ცეცხლის ფრთოვან რაშებით წინსრბოლას, მძლავრ გაქანებას, განახლებას.

მაგრამ ეს კიდევ იმას არა ნიშნავს ცხოვრების სინამდვილეს მოვწყდეთ, ჩვენი ყოფობის ვითარება არ ავსახოთ.

დიდი ხანია ცეცხლს მივეცით ყოველივე ჟამგადასული, უსარგებლო, რაც სულს გვიხუთავდა, და მთელის არსებით ახალის საძირკვლის განმტკიცებას ვესწრაფებით. ხოლო ამ მუშაობის დროს უექველად უნდა ვისარგებლოთ წინაპართა უკვდავ საგანძურით, რაც ჩვენ გუშინ ძვირფასი შეგვიქმნია, და მთელი მშრომელი ხალხის საჭიროებითაც, რომ ხელოვნების ტაძარში მუდამ ჩაუქრობლად ღვიოდეს ცეცხლი ამირანისა, ადამიანთა სულისა და გულის მოსაოხებლად!..

იოსებ იმედაშვილი.

ლენინი და ხელოვნება

ლენინს არ დაუწერია არც ერთი სპეციალური წერილი ხელოვნებაზე. არც ჰქონია შემოხვევა განსაკუთრებით შეხებოდა ამ თემას.

ეს გასაგებია. რუსეთის სოციალურმა რევოლიუციამ საშინელი პრობლემები დაუყენა წინ „ოქტომბრის“ ავტორს. ლენინის მთელი ენერგია უმეშვეოდ გადაიყოლა პოლიტიკური ცხოვრების დუღილმა.

მაგრამ, მიუხედავათ ამის, ლენინი ასწრებდა ყველაფერზე თავისი სიტყვის თქმას. ხელოვნების შესახებ მან დაგვიტოვა თავისი შეხედულების რამდენიმე ფორმუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა. როგორც ყოველთვის, აქაც ყველაფერი მზესავით ცხადია. მას არ უყვარდა დეკლარაციული სიმჩატე აზრის და დოქტრინალური გაუგებრობის კორიანტელი.

ხელოვნების პრინციპის გათვალისწინების დროს, ლენინი გამოდის თავისი ზოგადი ფილოსოფიური და პოლიტიკური სოფლმხედველობიდან.

„ხელოვნება ეკუთვნის ხალხს!"—ასეთი იყო მისი პირველი ფორმულა.

1920 წ. კლარა ცეტკინას წინაშე მან სთქვა თავისი ლიტერატურული მრწამსი: „მე არ ძალმიძს ჩავთვალო ექსპრესიონიზმის, ფუტურიზმის, კუბიზმის და სხვა „იზმები"-ს ნაწარმოებები მხატვრული გენიის უმაღლეს გამოხატულებათ. მე ისინი არ მესმის. მე მათგან არავითარ სიხარულს არ ვგრძნობ..."

ლენინის მეუღლის გადმოცემით, ყველაზე ძლიერ რუსეთის პოეტებში ლენინს უყვარდა პუშკინი და ნეკრასოვი.

სოსნოვსკი სწერს ამის შესახებ: არაფერი არაა საკვირველი იმაში, რომ მეამბოხე და უდიდესი აღმშენებელი ლენინი სიხარულს ჰპოულობდა კამერ-იუნკერის პუშკინის ლექსებში. „ჩვენ შეგვიძლია მივხვდეთ, რისთვის უყვარდა პუშკინი ლენინს. პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ პუშკინი ყოველთვის არის ნათელი და უბრალო".

აქ სჩანს ლენინის შეხედულების პრინციპიალური ხაზი. ხელოვნება—მასიურ თვითშემეცნების განვითარების იდეოლოგიური იარაღია. ძველი არისტოკრატიული ხელოვნება ხასიათდებოდა ერთი პრინციპით. ეს იყო—ხელოვნება რჩეული ადამიანების. პროლეტარული კულტურა ასეთი გზებით ვერ ივლის. ეს იქნებოდა პროლეტარული მოძრაობის საფუძვლის შერყევა. თანამედროვეობამ უნდა გადალახოს საზღვრები ინდივიდუალიზმის და „რჩეული პირების"იდეოლოგია კოლლექტიური შემეცნებით შესცვალოს.

ხელოვნება ერთერთი სახეა საერთო იდეოლოგიური შემოქმედების. ცხადია, აქ იგივე გზებია და მიზნები, როგორც საერთო კულტურულ ცხოვრებაში.

ლენინის მიდგომა ხელოვნების საკითხებისადმი წმინდა რევოლიუციონურ-მარქსისტულია.

საუბედუროთ, ოქტომბრის რევოლიუციის ქარიშხალი არ აძლევდა დროს და საშუალებას ლენინს ამ საკითხებზე უფრო ბევრი ეწერა და ეთქვა.

მაგრამ ცხადი კია, ლენინი განიცდიდა ხელოვნების მზიურ მხურვალებას და მისი შემეცნების წყურვილს.

კარლ მარქსი სწერდა ლექსებს. „კაპიტალის' ავტორისათვის არ იყო უცხო ლირიული ტონი საყვარელი ჯენნის დასასაჩუქრებლად. ენგელსის პოეტური აღმაფრენა გაცილებით დიდი ჰორიზონტის იყო.

მარქსიზმის პირველმა ავტორებმა ფიზიოლოგიურად გადასცეს თავის ჩამომავლობას პოეტური შემეცნების მზე და სიმხურვალე.

ლენინის პატარა სტრიქონები ხელოვნებაზე ბევრის მეტყველია და საგულისხმიერო. მისი პირველი ფორმულა: „ხელოვნება ეკუთვნის ხალხს!"—დარჩება ოქტომბრის ისტორიაში იდეოლოგიური დირიჟორობის ადგილზე.

მაგრამ ლენინს არ ავიწყდებოდა დიდი ღირებულება წარსული ხელოვნების. „რატომ გვსურს ჩვენ ზურგი შევაქციოთ იმ ჭეშმარიტ მშვენიერებას, რომელიც გამოგვადგება შემდეგ განვითარების გამოსავალ პუნქტად. მხოლოდ იმისთვის, რომ ის „ძველია?" ამბობს იგი 1920 წ. კლარა ცეტკინისადმი თქმულ სიტყვაში.

არც მიღებაა საჭირო მხოლოდ იმიტომ, რომ იგი „ახალია".

ჯანსაღი ისტორიული მემკვიდრეობა ასაზრდოებს ყოველ მოვლენას საკაცობრიო ცხოვრებაში.

ხელოვნება ვერ ასცდება ამ გზას.

ლენინი მოგვიწოდებს აქეთკენ.

ენგი

გიორგი წერეთელი

ოცდა ხუთი წელიწადი შესრულდა რაც გიორგი წერეთელი გარდაიცვალა.

როგორც ჩვენი მწერლობის, ისე ჩვენი საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე გიორგი წერეთელი მეტად ოვალსაჩინო პიროვნებაა და დიდი ღვაწლიც მიუძღვის. მისი ლიტერატურული მოღვაწეობა მრავალმხრივი და მრავალფეროვანია, მაგრამ მკითხველი საზოგადოება მას იცნობს უფრო როგორც ბელეტრისტს და, მართლაც, ამ დარგში არის ის ძლიერი და ორიგინალური.

ყოველი ბელეტრისტი, ისე როგორც ყოველი მწერალი, შემოქმედების დროს იმყოფება თავისი მსოფლმხედველობის ზეგავლენის ქვეშ: როგორიც არის საერთოდ მისი მსოფლმხედველობა, იმგვარივეა მისი შემოქმედებაც.

თუ იცნობთ მწერალს ამ მხრივ, წინდაწინვე შეგიძლიათ თქვათ, თუ როგორი იქნება დედააზრი მისი შემოქმედებისა.

როდესაც გიორგი წერეთელის ბელეტრისტული ნიჭი გაიშალა, ჩვენი მოწინავე საზოგადოების აზროვნების ფოკუსს ილია ჭავჭავაძე წარმოადგენდა.

ილია ჭავჭავაძე დიდი ნიჭისა და მტკიცე ხასიათის პიროვნება იყო. უკეთ რომ ვსთქვათ, ილია ჭავჭავაძეში ორი პიროვნება იყო: ერთი პოეტი, მეორე—საზოგადო მოღვაწე. მათ შორის დიდი განსხვავებაა. ილია **პოეტი** უარყოფდა ილია **საზოგადო მოღვაწის;** ილია საზოგადო მოღვაწე უარყოფდა ილია პოეტის.

მწერლობის ასპარეზზე ილია გამოვიდა ბრძოლის საყვირით, წარჩინებული წოდება გამოაცხადა ქართველი ერის მეტხორცად და „ღარიბთ ერთობა" დაწერა თავის დროშაზე.

ბრძოლა წარჩინებული წოდების წინააღმდეგ და „ღარიბთ ერთობის" დაცვა,—აი რა გამოაცხადა მან ახალთაობის მიზნად გრიგოლ ორბელიანთან კამათის დროს.

გავიდა ხანი და ილია ჭავჭავაძე სწორეთ ამ წარჩინებულმა წოდებამ აირჩია თავის ბელადად.

ბრძოლის საყვარი მაშინ ილიამ უკუაგდო და იწყო წოდებათა თანხმობისა და სოლიდარობის ქადაგება.

ჩვენში ყველაზე უდიდესი საქმე არის ჩვენი დაცემული ვინაობის აღდგენა. ყველა ამ საქმეს უნდა ვემსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუროთ და ერთმანეთს ძმურად მივცეთ ხელი. დაახლოებით ასეთი ღერძის გარშემო ტრიალებდა მაშინ ილია ჭავჭავაძის მთელი მსჯელობა.

არა ბრძოლა, არამედ მორიგება და თანხმობა დაცემული ეროვნული ვინაობის აღსადგენად. მერე წარჩინებულ წოდებასა და გლეხობას შორის რომ ხიდია ჩატეხილი? ეს ხიდი უნდა აღადგინოს წარჩინებული წოდების შვენებამ და სინიდისმა, რასაც ილია მხატვრულად უწოდებს ცრემლიან ცოდნას „ოთარაანთ ქვრივში“.

ილია სასტიკად ებრძოდა ყველას, ვინც კი წინააღმდეგი იყო „ჩვენი დაცემული ვინაობის“ ასეთის გზითა და საშუალებით აღდგენისა.

კლასთა ბრძოლას ილია ერის დამღუპველად სთვლიდა, ამ ბრძოლის აუცილებლობას და ეროვნული ცხოვრების განვითარებას ამ გზით ის სულებით უარჰყოფდა.

სწორედ ამ ხანებში გაიფურჩნა გიორგი წერეთელის ბელეტრისტული ნიჭი და მისი შეხედულება ძირიანად ეწინააღმდეგებოდა ილია ჭავჭავაძის მოძღვრებას.

გიორგი წერეთელი იყო რეალისტი ბელეტრისტიკაში. ის გაჰყვა იმავე გზას, რომელზედაც მოღვაწეობდენ ჭონქაძე და არდაზიანი და ღრმად ჩაიხედა ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში.

რა ამოიკითხა ბელეტრისტმა ამ ცხოვრებაში? წოდებრივი ურთიერთობა ირღვევა და ჩნდებიან კლასები, რომლებიც იკავებენ ცხოვრებაში წოდებათ ადგილს. მაშასადამე ცხოვრება ერთ დონეზე არ არის გაჩერებული, არამედ ის მოძრავია, იცვლება და წინ მიდის. ასეთი ცვლილებისა და წინმსვლელობის დროს ერთი კლასი ეცემა და გზას უთმობს მეორეს. წარჩინებული წოდება დეკადანსს განიცდის, გადაგვარებისა და წოდებრივად გადაშენების გზაზე დაექანება. ეს გადაგვარება წარჩინებული წოდებისა გიორგი წერეთელს საუცხოოთ აქვს დახატული.

ვინ იჭერს წარჩინებული წოდების ადგილს? ამის პასუხს ჩვენ ვხედავთ „პირველ ნაბიჯში“. ერის ცხოვრებაში შემოჭრილია ახალი კლასი ბურჟუაზია, რომელიც გაბედულად, მტკიცედ და დაუზოგავად მიისწრაფის წინ თავისი მიზნების განსახორციელებლად. თუ თავად აზნაურული წოდება ანადგურებდა გლეხობის კეთილდღეობას, უფრო სასტიკი და ულმობელი მტერია მშრომელი ხალხისა ახლად მოვლინებული ბურჟუაზია.

აქედან თავისთავად ცხადია დასკვნა: მშრომელმა ხალხმა ხსნა უნდა ეძიოს სხვაგან, სხვაგვარ საზოგადოებრივ წყობილებაში.

ასეთი დასკვნა გიორგი წერეთელს არ გაუკეთებია, რადგანაც აღარ დასცალდა, მაგრამ ეს თავის თავად გამომდინარეობს მთელი მისი ბელეტრისტიკიდან.

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ მან საკმაოდ მოიკეთა და უკვე ოცნებობდა თავისი მომავალი მუშაობის შესახებ, რაზედაც პირადად ჩემთვის გაუზიარებია მას თავისი შეხედულება. მას დაწყებული ჰქონდა დიდი რომანი, რომლის პირველ ნაწილში თავად ბაკურაძის სახით დახატული ჰქონდა თავად-აზნაურული წყობილება და ბატონ-ყმური ურთიერთობა. მეორე ნაწილში უნდა გაეშალა ბურჟუაზიის ცხოვრება.

—„მესამე ნაწილში მუშა ხალხს გამოვიყვან. ის მოსპობს ბაკურაძეებსაც, ბურჟუაზიასაც და დაამყარებს სრულებით ახალ ცხოვრებას“, თვალებ-გაბრწყინებული მესაუბრებოდა გარდაცვალებამდე ორი კვირის წინეთ;— „მართალია, დღევანდელ პირობებში ცენზორი მესამე ნაწილს არ გაუშვებს, მაგრამ მე დავწერ და იმას დაუდგება ალბად თავისი დროვო“, თანვე დასძინა.

თავისი განზრახვის განხორციელება აღარ დასცალდა: ერთბაშად გაუარესდა მისი მდგომარეობა, ისევ ჩავარდა ლოგინად და მალეც ვათავდა.

ქართველი ინტელიგენციის ისტორიაში გიორგი წერეთელი სამ ხანას ანუ სამ დასს ჰხედავდა. პირველი იყო ძველი თავად აზნაურული ინტელიგენცია, რომელსაც გრიგოლ ორბელიანი ახასიათებდა; მეორე—თავადურ-ბურჟუაზიული, რომელსაც ილია ჭავჭავაძე მეთაურობდა; მესამე სულ ახალი რევოლუციონურად განწყობილი და სოციალისტურად მოაზროვნე.

გიორგი წერეთელი ამოუდგა გვერდში სწორეთ ამ მესამეს, რომელსაც თვითონვე უწოდა „მესამე დასი“ და ფართოდ გაუღო მას კარი თავის „კვალში“.

ამით გიორგი წერეთელმა გამოიწვია საშინელი გამწვავება ილია ჭავჭავაძის ბანაკში და. გამმართა გიორგი წერეთლის დევნა, რაც იმის გარდაცვალებამდე არ შეწყვეტილა.

„კვალი“ გადაიქცა სოციალ-დემოკრატების ორგანოდ და თავის დროზედ ქართველ პროლეტარიატს მან დიდი სამსახური გაუწია. საქართველოს მუშა ხალხის ისტორიკოსი „კვალს“ გვერდს ვერ აუხვევს.

ამგვარად გიორგი წერეთელმა ძალიან ადრე აუღო ჩვენს ცხოვრებას ალღო და ჩვენი მშრომელი ხალხის სარევოლუციო მოძრაობაში თავისი წვლილი შეიტანა.

გიორგი წერეთელი იყო სოციალისტურად მოაზროვნე, მაგრამ ამავე დროს ის იყო ნაციონალისტი: ერი, სამშობლო და სოციალიზმი იმის შეგნებაში განუყოფელი იყო.

კომუნისტურ მანიფესტი ის სრულად ჰღებულობდა გარდა ერთი ადგილისა, სადაც ნათქვამია: პროლეტარებს სამშობლო არ გააჩნიათო.

სამშობლო ისე არაგისთვის არ არის საჭირო, როგორც პროლეტარიატისათვის, უთქვამს მას ჩემთვის,— რადგანაც ამ სამშობლოს ისინი მოაწყობენ მთელი მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდო.

გიორგი წერეთელი მეტად საინტერესო პიროვნებაა და ისეთი კვალი დასტოვა, რომელიც არასოდეს არ წაიშლება. ქართველი მშრომელი ხალხის ისტორიაში მას უსათუოდ ეჭნება საპატიო ადგილი.

ივ. გომართელი

ეროვნული თეატრისთვის

IV.

არ იფიქროთ ჩვენს თეატრს მარტო ისტორიული ექსტაზით ეცხოვროს და გამოპარვოდეს უდიდესი მნიშვნელობა თანამედროვე სოციალური და ყოფითი დრამის განსახიერების. რეპერტუარის სიღარიბე სულ სხვა თემაა. მაგრამ ვინც კი გადაავლებს თვალს ჩვენს საზოგადოთ ღარიბ რეპერტუარს და გაითვალისწინებს თეატრის მრავალმხრივ მოღვაწეობას 75 წ. მანძილზე, ის უნდა დაგვეთანხმოს, რომ ჩვენში თეატრალური ხელოვნება სოციალური (თუ გნებავთ: რევოლიუციური) და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფითი თვალსაზრისითაც **შედარებით** თავის სიმაღლეზე იდგა, რამდენათაც ხელს უწყობდა დრო და ისტორიული გარემოება, რომლის გადალახვა, რა თქმა უნდა, თეატრს არ შეეძლო

ვინ არ იცის დღეს ის დიდათ მნიშვნელოვანი როლი, რომელიც ითამაშა პირდაპირი თუ ირიბული ზედმოქმედებით ქართულმა თეატრმა სოციალ-რევოლიუციური სულისკვეთების გასაძლიერებლათ და ეროვნულ კულტურული გრძნობის ასამაღლებლათ და გასაფაქიზებლათ! ამას ისინიც კი აღიარებენ, ვინც,—ლოღიკის და ისტორიის წინააღმდეგ,—თეატრის არსებობის წელთაღრიცხვას თავის გუშინდელი თუ დღევანდელი ეგრეთ წოდებული „გამოსვლებით“ იწყებს აქაო და ძველი თეატრი, როგორც თეატრი პატრიოტიკის, პროპაგანდის და ყოფის, მოკვდა და სრულიათ ახალი თეატრით ვეფლინებით ქართველ საზოგადოებასაო.

პატრიოტიკაზე უკვე მქონდა ლაპარაკი. იგი მეტნაკლები სიზლიერით განუყრელი ელემენტია **ყოველი ერის** თეატრის. ეს ელემენტი ხან ძლიერდება, ხან სუსტდება,—დამოკიდებულია იმაზე, რომელ ერთან ან ერის ისტორიულ ცხოვრების რომელ ეპოქასთან გვაქვს საქმე

სავსებით კი ის არასოდეს არ ქრება **და** ვფიქრობთ, არც გაქრება თეატრიდან, სანამ თვით ცხოვრებაში არ და შრება მისი მასაზრდოებელი წყარო. ეს კი, როგორც იცით, ძალიან შორეული ბომბავლის მუსიკაა, რომელიც დღეს შეგვიძლია სათვალავში არ მივიღოთ. თუ ოდნავ მაინც გაიხსენებთ ძველი საბერძნეთის თეატრს,—ესხილოსის, სოფოკლეს და ევრიპიდეს თეატრსა,—და ევროპის კულტურულ ერთა ნაციონალური თეატრების აღორძინების ისტორიას, ზემოხსენებული აზრის ჭეშმარიტება ნათელი იქნება ყველათვის.

საერთოდ ხელოვნება, კერძოდ თეატრი, რაღა თქმა უნდა, საზოგადოებრივია და, საბოლოო ანგარიშით, საზოგადოებრივობის სულიერ მთლიანობას და მის კულტურას ემსახურება. თვით მშვენიერება, როგორც ესთეტიური ტკბობა, უაღრესად სოციალურ დანიშნულებას ასრულებს. ეს ახლა სადაო არაა. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ თეატრი საჯგანტაციო საპროპაგანდო შკოლად გადაიქცეს და ჭკუა-მოკლე მორალისტების პრაქტიკული მოღვაწეობის იარაღად გახდეს. ეს პირდაპირ სიკვდილია თეატრის. ამის ნათელსაყოფათ აუარებელ მასალას და მწარე გამოცდილებას იძლევა მთელი თანამედროვე ნერვიულათ მთრთოლვარე ეპოქა.

ცხადია, ქართული თეატრი ობიექტიურათ, თავისი მოღვაწეობით (როგორც ყველა თეატრი), დიდს გავლენას სტოვებდა მაყურებლებზე და ამნაირად თავის თავად ერთგვარ განსაზიერებულ „პროპაგანდას“ წარმოადგენდა, პროპაგანდას იმ ღირებულებისას, რომელთაც ემსახურება თეატრი. ამგვარად გაგებულ „პროპაგანდას“ ვერასოდეს ვერ მოიშორებს თავიდან თეატრი, როგორც ხელოვნების ტაძარი, სადაც თავისებურ საღოცავათ დაიარება ხალხი. მაგრამ საზოგადოთ შეიძლება ითქვას, რომ ქართული თეატრი,—თითო-ოროლა მაგალითს თუ არ გავაზვიადებთ,—არასოდეს არ ჩამოქვერთებულა აგიტაციურ-მორალისტურ სიბრძნე-სიცრუის ქადაგებამდე. სხვისი არ ვიცი და მეკი მეჩვენება, რომ პირწავარდნილი პროპაგანდის თეატრი „დურუჯული“ თეატრი უფრაა, ვიდრე სამოცდათხუთმეტ წლოვანი ქართული თეატრი, რომელსაც ის,—ერთი არაკის არ იყოს,—უკადრისობს და სწუნობს: მე არ მინახავს მაგისაგან ჩემ დღეში სარგებელი! რას დავდევ: ნედლი იქნება, თუ გამომშრალი—ხეელია.

ჩვენ ვიცით, ქართულ თეატრს ჰქონდა ცუდი ტენდენციურ მორალისტური ხვეულები. მაგრამ ეს სრულებით არა დამახასიათებელი საერთოთ მისი შემოქმედებისათვის. გარდა ამისა ამ ცუდ მორალისტურ ტენდენციას ყოველთვის კრეჭაში უდგენ თეატრის უდიდესი ქურუმნი და ქართული აზროვნების საუკეთესო წარმომაგენელნი. დავას ხელებ ილია ჭავჭავაძეს, რომელიც უსასტიკეს მსჯავრს სდებდა თეატრის და დრამის ასეთს გაკაკლბებს. „ორსავ დრამაში[1]),—სწერს ის,—რა თქმა უნდა—მტერნი კაცის მჭამელნი არიან, ქართველების სისხლის მსმელნი, ყოველს ადამიანობაზე ხელ ღებულნი და ქართველები კი—ყოველის ადამიანობით სრულნი. ასე ყოველად მხეცობა მტრისა, ყოვდადვე სისრულე და სავსება ქართველებისა—ბავშვური წადილია, კაცმა თავი მოაწონოს მაყურებელსა. ბუნება ადამიანისა, ქართველია თუ გერმანელი—ავკარგიანობით არის სავსე და ქვეყანაზე არ არის იმისთანა ერი, რომ მიწყული ჰქოდეს ან მარტო კარგი, ან მარტო ავი. ავი და კარგი ყველგან არის და, ვისაც ეს ავიწყდება, ის დიდ მანძილს ვერ გაირბენს მწერლობაში. თუნდ ეგეც არ იყოს, თვითონ ცალკე, თვითეულ ადამიანის ბუნების ავ-კარგიანობაშია იგი მოძრაობა სულისა და გულისა, რომელიც დრამას საგნადა აქვს და რომლის თვალწინ ცხოვლად წარმოდგენა ასე თუ ისე არყეფს ხოლმე მაყურებელს და მთელს აგებულებას შეუძრავს ან სიხარულით, ან მწუხარებით, ან სიყვარულით, ან მძულვარებით. ჩვენ კარგნი ვართ, ისინი კი მხეცები და აფთრები არიანო. ეს გრძნობის ეგეშმარიტს გზაზე დაყენება კი არის, გრძნობის წაწყმენდაა, გაყალბებაა, დაბრმავებაა, ეგ ცეცხლია ჩალაში გაჩენილი, რომელიც აპრიალების უმალვე ჩაქრება და ხელში მარტო ფერფლი გვრჩება და ჰაერში—ნატისუსალი“ („კრიტიკული წერილები“—ახალი დრამების გამო).

რაც შეეხება „ყოფას“, ის რაღაც ძალიან ათვალწუნებულია „მაძიებლებისაგან“, თითქმის საგინებელ სიტყვად ითვლება ზოგიერთს ხელოვნების მსახურთა ნაძალადევათ გამემარცხენებულ წრეებში; განსაკუთრებით მომაკვდინებელ ცოდად უთვლიან ქართულ თეატრს: ყოფას ვერ გაშორდაო. მერე ყოფას რომ გაშორებოდა, სად უნდა წასულიყო? არა თუ ქართული თეატრი, საზოგადოთ თეატრი ყოფას რომ გაშორდეს, სად წავიდეს?

მაგრამ საქმე იმაშია, რომ „ყოფა“ წარმოუდგენიათ რაღაც მკვდარ უმძძრაო, ერთფეროვან, დაწვრილმანებულ რამედ. მერე გამოდიან და მის შესახებ ასეთ დამახინჯებულ წარმოდგენაზე გამარჯვებას დღესასწაულობენ, ნამდვილათ კი „ყოფა“ სისრულით წარმოდგენილი თვით ცხოვრებაა, თვით სინამდვილეა მთელი თავის სიღრმით, სირთულით, ფსიქოლოგიით და საზოგადოებრივობით. და მისგან თავის დაფარვა, განდგომა და განყენება ყოველთ შეუძლებელია. ძალაუნებურათ ამას მორჩილობს ყოველი თეატრი მიუხედავთ მიმართულებისა,—არა მარტო რეალისტური, არამედ არა რეალისტური

[1]) „მტარვალი“ და „ქართ. დედა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეატრიც. ამის ცნობა და აღიარება, ბოლოს და ბოლოს, კულტურული კეთილ სინდისიერების და გულწრფელობის საქმეა. შეიძლება თეატრში ზღაპარი დადგათ,—მაგრამ ამით ვერ დაამტკიცეთ, რომ „ყოფას“ სრულებით მოწყენილ და „ზე-ყოფის“ სფეროში ამოყავით თავი. ეს იქნება, როგორც ამბობს ერთი რუსი თეატრალური კრიტიკოსი, არა „ყოფის“ უარყოფა, არამედ მისი გადატანა გაზეთადების და ფანტაზიის სამეფოში. განა ცოტა „ყოფაა“, ვთქვათ, ზღაპრულ „სინათლეში“, რომელიც ბოლო ხანებში რამოდენიმეჯერ დაიდგა რუსთაველის თეატრში? ან სახელმწიფო აკადემიური დასის რომელი დადგმაა რომ განთავისუფლებულია სრულია ყოფის „ბიწიერებისაგან“?

ცხადზე უცხადესია, ესა თუ ის „ყოფა“ ხშირად უფერული, ერთფეროვანი, უშინაარსო ია როგორც ხშირად უფერული, ერთფეროვანი და უშინაარსოა თვით ცხოვრება. ამას ვერაფერს ვერ უზამთ ამ ერთფეროვანი და უშინაარსო ყოფა-ცხოვრების ნიადაგზე აღმოცენებული თეატრი, თავისთავად ცხადია, ვერ იქნება მაინცა და მაინც მრავალფეროვანი, ცოცხალი და შინაარსიანი. მაგრამ კეთილგონიერი ხალხის მთელი მისწრაფება იქითკენაა მიმართული, რომ ეს ყოფა გაპოხიერდეს, გამრავალფეროვანდეს, სულიერათ გამდიდრდეს ამ ღლდეს.ტ ეს იქნება აგრეთე ურყეველი საფუძველი კულტურის განვითარების და ხელოვნების აყვავების.

მოიგონეთ ამ ორი წლის წინათ რუსეთის პრესაში გამართული ‑მეტათ საყურადღებო კამათი ყოფის და კულტურის ურთიერთობის შესახებ. თუ გახსოვთ, იქ ნათლად გამოირკვა, რომ საერთოთ ახალი რწერლობა და კერძოთ ახალი დრამა უსუსური და უხერ-ხემლოა, სწორედ იმიტომ, რომ ისინი ეპოქის მხოლოთ შორიდან უვლიან გარს, „ყოფის“ ზედაპირზე ზერელედ დასრიალობენ და არ ეშვებიან მის ძირში მრავალმხრივი „ცოცხალი ცხოვრების“ შესაგრძნობლათ და განსასახიერებლათ. ყოფას მოცილებული და ყოფას მოკლებული ლიტერატურა და დრამატურგია მკვდარია. ყოფა გაგებული უნდა იქნეს ფართო აზრით, ორგანიულათ და ისტორიულათ და არა ვიწროთ, ზედაპირულათ და ნატურალისტურად.

საკუთრივ ჩვენი მდგომარეობის შესახებ შეგიძლიათ და უფლებაც გაქვთ სთქვათ, რომ „ეართული ყოფა“ ქართული თეატრის არსებობის ხანაში (და უფრო ადრეც, რასაკვირველია) ერთგვაროვანი და უსიცოცხლო იყო,—იგი ცუდად იყო ასახული და წარმოდგენილი დრამასა და თეატრში, რომ ქართული ორიგინალური დრამატურგია ღარიბია, ჩვენი თეატრის „ყოფითი“ რეპერტუარი უვარგისი და გამცვდარია,—რომ ჩვენ, მოკლედ უყოლელნი და უქონელნი ვართ და სხვ., მაგრამ საზოგადოდ და პრინციალურად „ყოფის“ წინააღმდეგ გალაშქრება, მისი უარყოფა დრამატიული და თეატრალური ხელოვნებისათვის, მისი გაუკანასკნელების და თეატრიდან განდევნის ცდა,—ეს მეტი რომ არა ვსთქვათ, ისეთი გაუგებროაა, რომლის მსგავსი მეორე არ მოინახება.

მარმარელი.

რა თავი აქვიგდე!

გავბრიყვდი და შევჯიქ ვრსა,
ტლინკი ჰყარა—დამცა ძირსა.

ხალხური.

„ეიანქველას რომ ფრთები გამოუვა, ღმერთი მაშინ გაუწყრებაო“—ნათქვამია. და ვინც ესა სთქვა, მამა ცხონებულმა, ალბად ჩე ზედა სთქვა.

ხომ მოგეხსენებათ, ცხოვრება კიბეა:—ზოგი ადის, ზოგი ჩამოდის. მეც ერთ დროს ამ კიბის დაბლა საფეხურზე ვიდექ, მიჭირდა საფეხურის მონაცვლება, ზევით აწევა და შურით შეცსცქეროდი იმათ, ვინც ამ კიბეზე მიაბიჯებდა და მიდიოდა სულ ზევით, ზევით...

ჩემ ოჯახობა სულ თავში მიფაჩუნებდა და ბოლმით სავსე გულს ყარესად მოსდებდა ყოველდღე საყვედურით და დაცინვით.

— არაფრათ ვარგიხარ, შე ქალაჩუნა შენა! სხვები კვერცხებში გამოწვიან, რას არ ახერხებენ, რას არ შეგებიან და ისე ცხოვრობენ, რომ კაცს შეშურდება. ჩვენ კი ერთ წუწინ ოთახში ვიკრუნჩხებით და არაფერი არ გაგვაჩნია. უი, შენ მოუკვდი შენს პატრონს, შენა!

მომაყრიდა ქოქოლას და თავში ჩამიფაჩუნებდა.

მეც რას ვიზამდი; მართალს ამბობდა და რა უნდა მეთქვა ვიკლავდი დარდს გულში და ვინ იცის რას არ ვფიქრობდი.

მაგრამ ვერაფერს გავხდი.

ალბად მართლა უშნო და ქალაჩუნა ვიყავი, რომ არა მეხერხებოდა რა და ცოლიც თავში მირტყავდა.

მაგრამ არა! მე არც ისე პატარა კაცი ვარ, არც ისე უნიჭო:

არა, მე კიბის სათავეში უნდა ვიყო; აქ რა. მინდა! რითი მჯობიან, ვინა გდიან! მე ყველაზე მეტი ვიცი, მე ყველაზე მეტი შემიძლია; ვინა გდიან!

„აბ, რომ არ მიშლიდეს, რომ არ მიშლიდეს...“ ვფიქრობდი მე და დღემდის ვერ მივმხდარვარ, რა მიშლიდა მაშინ.

ამ წვალებაში გავიდა დრო მე გული გამიტყდა და კინაღამ დავიჯერე ჩემი უნიჭობა და დავიჯერებდი კიდეც, მეტი რა გზა მქონდა, რომ ერთბაშად საშინელი არეულობა არ მოხდარიყოს ცხოვრების კიბეზე.

ერთ მშვენიერ დღეს, მოულოდნელად კიბე შეირყა ძლიერად და ვინც ზევით იყვნენ ასულნი, ჰარტყა-ჰურტყით ძირს ჩამოცვინდნენ.

ზოგმა ფეხი მოიტეხა, ზოგს კბილები ჩასცვინდა, ზოგმა თავი გაიტეხა, ზოგმა რა და ზოგმა კიდევ რა...

მე კი ქვეით ვიდექი, გულიანათ ვხარხარებდი:

— ეგეც თქვენ! ხომ მოგხვდათ შვილოსა! ახლა ჩემი ბიჭობაც ნახეთ მეთქი!

ავხტი კიბეზე და ზევიდან ქვეით გადმოვხედე. ოო, რა სიამოვნება ვიგრძენი, რა სიამაყე!

დავრწმუნდი, დავრწმუნდი, რომ ყველაფერი შემძლე-

ბია, დავრწმუნდი, რომ სხვები ჩემთან არაფერი ყოფილან. მართლაც, ვინა გდიან!

ჩემმა ცოლმა რომ დამინახა პორტფელით ხელში და გაჩქარებული მოსიარულე ხან ავტომობილით, ხან ეტლით, პირს კატა ეცა, განცვიფრდა და გაკვირდა დიდათ. ალბად არ მოელოდა, საწყალი, გულგატეხილი იყო და არ იცოდა, თუ რა ძალა იმალებოდა ჩემში. ეხლა თავში აღარ მიფაჩუნებდა, მიღიმოდა კიდეც და, თითქოს ალერს ნარევი კილოთი, მეუბნებოდა:

— შენ გენაცვალე, ახლა შენ დიდი კაცი ხარ, რა არ შეგიძლია! დატრიალდი, უბრძანე აქეთ-იქით და კარგი ოთახები დაიცლეინე ჩვენთვის შუა ქალაქშიო.

მე მყისვე გავეცი ბრძანება, დავატრიალე ხალხი და მართლაც მეორე დღეს გადავბარგდით შუა ქალაქში ერთ დიდ სახლში ორ დიდ ოთახში.

რომ შევედით ბინაში, ჩემს მეუღლეს ძალიან იამა. და სიყვარულით მკლავი მკლავში გამიყარა, კისერი ლამაზად გადაიგდო გვერდზე, მინაბული თვალებით შემომხედა და წაიდუდუნა:

— შენკი გენაცვალე, შენა!...

კიბის თავზე, აივანზე და ეზოში ვიღასიც ბარგიბარხანა ეყარა. რომ ვიკითხე, მითხრეს:

— აქ რომ იდგა, მისიაო.

რას დავეძებ, კისერიც უტეხია. სადაც უნდა—იქ წავიდეს... მოვეწყეთ. ავეჯიც ვიშოვნე... დავისვენე.

რამოდენიმე ხნის შემდეგ ისევ დაიწყეს ჩემს თავზე ბაღდადური ჩემი მეუღლის მუშტებმა...

— სხვებს ხუთი-ექვსი ოთახი აქვსთ, ავეჯიც უშოვნიათ საუკეთესო და ჩვენ კი ამ ორ ოთახში ვართ მოკრუნჩხულიო. შენ მოუკვდი შენს პატრონს, თუ შენ რაღე გაიგონო,—გაჰკიოდა.

ერიჰა! დაიწყო ისევე თავიდან!..

ღვთის წინაშე ეხლა სადავიდარაბო ბევრი არა მქონდა რა, რადგან ჩემთვის შეუძლებელი აღარა იყო რა. მაგრამ სად, რომელ სახლში? აი კითხვა, რომელსაც გადაწყვეტა უნდოდა.

ესეც მალე გადაწყდა.

ჩემმა მეგობარმა ჩაიზე დაგვპატიჟა. ვეწვიეთ. შევედით თუ არა, ცოლმა მაშინათვე ჩამჯლიქვა და კბილების ღრჭენით წამიჩურჩულა:

— აი, შე ღმერთგამწყრალო, ბინა ესეთი უნდა!.. შენ მოუკვდი შენს პატრონს!..

და იქით ჩამოჯდა.

მე არც ვაცივე, არც ვაცხელე და ჩაის რომ შევექცეოდით და ვმუსაიფობდით, ჩემ მასპინძელს პირდაპირ გამოვეცხადე:

— იცი, ეს ბინა კარგი ყოფილა, ძალიან მომწონს. თუ ძმა ხარ, შენ სხვაგან გადადი და მე აქ უნდა გადმოვიდე.

მასპინძელმა თვალები გადმოქაჩა, ფერი წაუვიდა და ქვედა ყბა ჩამოუვარდა.

კაი ხანს იყო ასე და მერე წაილუღლუღა.

— შე კაცო, მე სად წავიდე მერე?

— ეგ ჩემი საქმე არ არის, ვუპასუხე მე და ავდექი წასასვლელად.

შევხედე—ჩემს ცოლს ლოყები თურაშაული ვაშლივით ასწითლებია და თვალები სიხარულით უბრწყინავს.

კარებში რომ გამოვდიოდით, მასპინძელსაც აღარ მოერიდა, მომეკარა, ჩამომეკიდა მკლავზე და ჩაილაპარაკა;

— შენ კი გენაცვალე, შენა!..

სახლში რომ მივედი, ცოტა დავფიქრდი. შემეცოდა მეგობარი. გადავსწყვიტე მისთვის ბინა დამეცლევინებია სადმე.

დავტრიალდი.—ერთი სახლი მომივიდა თვალში. შევედი. ავიყვანე ერთი მდგმური, მეორე მდგმურს შევუსახლე, იქიდან ის მეორე ჩემს ბინაზე გავასახლე, ჩემი მეგობარი აქ ჩავასახლე და მე კი იქ დიდებულად დავსახლდი.

ჩემი ცოლის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. ალბათ ეს იყო მიზეზი იმ უზომო, უმწიკვლო და უანგარო გრძნობისა, რომლითაც ჩემი ცოლი ახალ ბინაზე გამიმასპინძლდა...

ჰაიგიდი, რა კარგი რამა ყოფილა! სად ჰქონდა აქამდის დამარხული ეს ზღვა სიყვარულისა!?

ორ დღეს ჩვენს ნეტარებას საზღვარი არა ჰქონდა.

მესამე დღეს მოხდა საშინელება, ცა დამექცა თავზე. ცხოვრების კიბეზე მაღლა ვიყავი ასული და ვლამობდი კიდევ ზევით ამეწია, მაგრამ რა დამემართა არ ვიცი: ?უხლებმა მისუსტეს, დამწყვეტა ვინმემ, თვალი მეცა თუ რა ღმერთი გამიწყრა, არ ვიცი. ერთბაშად კიბის საფეხურზე ფეხი დამიცდა, წავიქეცი და ბრგ-ბრუგით ქვეით დავეშვი.

თავზარი დამეცა, დაბნელდა და ერთბაშად თვალებმა ცეცხლები გაყარეს, რადგან რაღაც მაგარი მომხვდა თავში და ვიღაცამ ჩამომწივლა:

— შენ მოუკვდი შენს პატრონს, შენა!

გამოვფხიზლდი, მიმოვიხედე და ჩემი ცოლის ბრაზიან თვალებს წავაწყდი.

ავიხედე ცხოვრების კიბეზე, იქ, სადაც მე ვიდექი, უკვე სხვა ასკუპულიყო და დაცინვით ზევიდან ქვეით გადმომჩერებოდა...

— ვაი შენ ჩემო თავო! რა სირცხვილი ვსჭამე!

მეორე დღეს ის ვაჟბატონი, იქ, კიბეზე ჩემს ადგილზე რომ ასულიყო, მოულოდნელად ჩემთან შემოვიდა. ხეირიანად გამარჯვებ-ც არ გვითხრა, ოთახებს გადახედ-გადმოხედა და არც აცივა, არც აცხელა,—პირდაპირ მომახალა:

— უკაცრავად, მაგრამ ეს ბინა მომწონს, აქ მე უნდა გადმოვიდე და თქვენ სხვაგან გადადითო.

გული მუცელში ჩამივარდა. გადავხედე მეუღლეს—სახეზე ალმური ასდიოდა და ისეთი თვალით მიყურებდა, რომ კინაღამ შიშით დავილიე.

წავედა. კარებში ვდგევარ და ვუყურებ, როგორ მიდის ის ვაჟბატონი კიბეებზე და ვფიქრობ:

— ვაი დედა! რა თავი ავიდე, რა ვქენი! ვინ იცის ეხლა როგორ გამასახლებენ აქედან, და სად შემასახლებენ ..

გიშერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახე გვირილეგში

კაიუს პელს

. . . რათ მოდის ფიქრებიდან შენი სახე ასე ნატანჯი, ასე გაფითრებული, და მოაქვს სევდა დაკარგულ იმედების? რათ იღიმება ასე უიღბლოთ, ასე აცრემლებით, ასე გალანდებით?...

. . . შენ ხომ შორეული სტუმარი ხარ, დედამიწაზე ცთომილად მოსული...

. . . შენი სახე, მეგობარო, უცხო ყვავილია, უცხო ყვავილია თეთრ გვირილებში ჩამალული...

. . . შენი ღიმილი გაზაფხულის მზის ღიმილია, თეთრ თოვლს რომ აელვარებს...

. . . შენი თვალები წმინდა ფიქრებია... ცისფერი ფიქრები, სიყვარულს რომ აღმერთებენ.

. . . შენი თმები შადრევანების ტეხილი ხაზებია, მზის წვიმაში რომ ელავენ.

. . . შენ ნარგიზი ხარ—მშვენიერების ღმერთო—ადამიანებში დაკარგული...

. . . შენი სამოსი სილამაზეა, მეგობარო, პოეზიით ნაწამები...

. . . შენ, ადამიანო, ღმერთი ხარ ადამიანების და ადამიანები გაღმერთებენ შენ... მაგრამ
ღამის ფიქრები რათ სერავენ შენს სახეს, მეგობარო, შენს სახეს ასე აცრემლებულს?

. . . შენი სული პრომეთეს ცეცხლია, ფ რადებათ რომ იშლება.

. . . შენ, სხვანაირო მოკვდავთა შორის...
რათ ხარ ასეთი?
შენ ხომ ნარგიზი ხარ, შენ ნარგიზები გფარავენ.
შენ ხომ გვირილა ხარ და გვირილები გამშვენებენ შენ და...
შენი სახე, მეგობარო, უცხო ყვავილია, უცხო ყვავილია, თეთრ გვირილებში ჩამალული და თეთრ გვირილებში ატირებული...
მუდამ ატირებული!..

ელლეონორ კანდელაკი

ივანე (ვანო) ტერ-გრიგორიანი
60 წ. სასცენო მოღვაწეობის იუბილეს გამო დღეს რუსთველის თეატრში.

მე წინ მივდივარ

მე წინ მივდივარ, ვერ შემაშინებს
ღამით აშლილი ბურუსი ჯანყი.
ჩემ სულის სწრაფვას ვერ დაიმონებს
შურისძიება გიჟი—ამაყი.

განიავდება მსოფლიო ცოდვა,
ჰანგი ციური დაიწკრიალებს,
სისხლიან მიწის ოხვრა და სევდა
გახალისდება, მოიხსნის შავებს.

მე წინ მივდივარ, ვერ შემაშინებს,
ღამით აშლილი ბურუსი, ჯანყი,
ჩემ სულის სწრაფვას ვერ დაიმონებს
შურისძიება გიჟი—ამაყი.

ვ. ხორეთელი

ორი დღესასწაული

იუზა ზარდალიშვილი

დღეს ქუთაისი იუზა ზარდალიშვილის სასცენო მოღვაწეობის 25 წ. თავს ზეიმობს.

25 წელიწადია რაც იუზა ხელოვნების ტაძარს ემსახურება თავგამოდებით, მღალის შეგნებით, უზომო სიყვარულით.

არარაისაგან ღირსეულ ქურუმად შეიქნა და მით სხვათაც გადმოსძახა: ინდონე, იშრომე, გიყვარდეს ხელოვნება, - საქმით ემსახური და ამაღლდებიო.

იუზა ჩვენს მსახიობთა შორის იშვიათთაგანია მითი, რომ ჩვეულებრივ ერთფერობენებას, ძმა-ბიჭობას, უქმად დროს ტარებას აცილებული მხოლოდ ერთის იდეით ცხოვრობდა: ხელოვნების უზადო სამსახურით.

ქუთაისის მშრომელი ხალხი, რომლის წრიდანაც გამოვიდა იუზა, დღეს სდაფნის თვისს სახელოვან შვილს.

სალამი და კვლავ ახალ-ახალი გამარჯვებანი ჩვენს იუზას!

——

ვანო ტერ-გრიგორიანი

ამავე დღეს ტფ. რუსთველის თეატრში მეორე სასცენო დღესასწაულია:

60 წ. სასცენო მოღვაწეობის იუბილეს უხდიან სომხის სცენის ერთ ძველ მესაძირკვლეთაგანს—ივანე (ვანო) ტერ-გრიგორიანს.

სიტყვით ადვილია სთქვა 60 წ. მოღვაწეობა, მაგრამ აბა ერთი საქმით წარმოიდგინე: ჩვენს საზოგადოებრივ ასპარეზზე წლის განმავლობაში გულიობა, დევნა, რაიც ძველს წყობილებას ახასიათებდა, დამცირება, დაცინვა როგორც ზევიდან, ისე ქვევიდან,—და მაინც ხალისი არ გეკარგებოდეს საქვეყნო საქმისადმი,—დიაღაც რომ დიდი რამაა.

ვანო ტერ-გრიგორიანი სამოცი წლის განმავლობაში მხურვალე, უანგარო მონაწილეობას იღებდა სომხურ მშობლიურ სცენაზე, ამავე დროს სახალ ხო თეატრში და—გარდა იმისა რომ შრომის ფასს არ იღებდა—თვით ეხმარებოდა,—ამ ათიოდე წლის წინად გამართულ იუბილეს შემოსავალიც სომეხთა საზოგადო საქმეებს გადასცა.

მართლაც რომ ასეთ მოღვაწეთა ამაგს დადაფვნა ეკუთვნის!

ვაშა და გამარჯვება მის ნაკვალევზე გამვლელთა!

იოსებ არიმათიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი

კინო

,,ქარიშხალის წინ''

დადგმა კ. მარჯანიშვილის, სცენარი დადიანის, გამოცემა სოც. უზრ. კომისარ.

პირველი მსხვერპლი

(გაგრძელება იხ. „თ. და ცხ.“ № 2)

IV

პეტრეს უყვარდა ლამაზი ცირა,
თვალებ-გიშერა და ალვად რგული,
და მის კარებთან ათეევდა ხშირად,
ტრფობით დამწვარი და დაბანგული.
უძგერდა გული და გრძნობის სიმებს
უთამაშებდა ოცნების ქარი
და აწყდებოდა ეკლების ქიმებს
დაჭრილი გული და ჰკვნესდა ქნარი:
„გულის ვარდო, სულის ნამო!
გენაცვალე, კარში გამო!
დამანახვე ეგ თვალები,
უძილობით ნაწვალები!
მსურს შევცურდე გიშრის ტბაში,
ვაბანაო სული მასში!
უშენობით კვდება გული,
სევდის ბაღში გადარგული.“

V

ცირასაც სწვავდა პეტრეს თვალები,
მასზე ოცნება უკრთობდა ძილსა,
მაგრამ დახშული ჰქონდა კარები,
უგულო მამის, სოვდაგრის შვილსა.
ის იყო ქალი განათლებული,
პეტრე კი მუშა და მეზღვაური
და სად ენახა მას გამართლება,
რომ გადაეჭრა გზა უცნაური?
ან ვის შეეძლო ეთქვა მამისთვის
ამბავი, მისთვის გაუგონარი?—
ჯვარზე აცვამდა ყველას ამისთვის
და დაახრჩობდა, ვით ძაღლს, ზონარით.
და ჰკვნესდა ცირა: „რად არის ნეტა
ცხოვრება სავსე ლაბირინტებით?!
ან რად დავდივართ ცალცალკე კენტად,
სხვადასხვა გზებით და ბილიკებით?!
სად ორი გრძნობა გადახლართულა,
იქ რა შვაშია მესამის ხელი,
როგორც კედელი რომ ამართულა
და შხამიანი უპყრია გველი?!“
და ვერ ენახა გულდამწვარ ცირას
ამ ხლართებიდან გამოსავალი:
ცრემლით აღტობდა გრძნობათა წკირას
და უმკნებოდა სულის ჯავარი.

VI

მაგრამ სიყვარულს სადა აქვს მიჯნა?
მისი სამეფო ცაზე ფართოა,
გული უდგია უძლეველ ბიჯგად
და მთლად მსოფლიო—სანავარდოა.
და ცირას გულმაც ფრთები გაშალა,
დაბრკოლებათა მთები წაშალა;
გაფრინდა ჩიტი მამის სახლიდან
და პეტრეს ქოხის შეაღო კარი...
ხვევნა და კოცნა ისე გახშირდა,
ვით ცის გუმბათზე ვარსკვლავთა ჯარი.
— „ჩემო სიცოცხლევ“ —„ჩემო ღვთაებავ!“
ისმოდა ხმები, ვით ჩქეფა ჩქერის
ალერსის ქსელი ისე გაება,
რომ ვერ ძღებოდენ ერთურთის ცქერით.
— აწ სამუდამოთ შენი ვარ, შენი
და სადაც გინდა, დე წამიყვანე!
— ეგ სითამამე რარიგად გშვენის!
შენი ჭირიმე! შენ გეთაყვანე!—
აძლევდა პასუხს პეტრე ფრთა-სხმული,
მაგრამ უეცრად, მძიმე და რთული,
წინ წამოეჭრა საკითხი დიდი
და შემაერთი გადასჭრა ხიდი;
მუშათა საქმე კვლავ მოაგონდა.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოტა არ იყოს კიდეც დაღონდა.
მაგრამ პირადი ბედნიერება
საერთო საქმეს შესწირა ნებით
და უთხრა სატრფოს: „მშვენიერებავ“,
ღირსი ხარ ტრფობის! ღირსი ხარ ქების!
მაგრამ, სიცოცხლევ, უნდა გაგიტყდე:
სახიფათოა გზა არჩეული.
ჰო, შეკვიფარებს სოფელი და ტყე,
მაგრამ ვიქნებით იქ დაზღვეული?
როს მამაშენი ამას გაიგებს,
გადაირევა, შეიპყრობს ცოფი:
შეჰყრის ქვეყანას, მახეს დაგვიგებს...
და მაშინ რა ვქნა: ვებრძოლო თოფით?
ეს არ მაშინებს, არა ვარ მხდალი,
შენთვის ქვეყანას შევეჭიდები:
მაგრამ მიძახის საერთო ვალი
და მას კი ვეღარ განვერიდები;
დაწყებულ საქმეს ვერ ვუღალატებ;
იგი უჩემოდ დაიღუპება:
ჩაუვარდება ხელში ჯალათებს...
და როგორ მივცე ამის უფლება?
ვიდრე ამ საქმეს სულ არ ვადავჭრი,
გემუდარები, შენც მოითმინო.
შემდეგ ასპარეზს ფართოთ გადავშლი:
ერთად ვიფრინოთ! ერთად ვიღხინოთ!“
ატირდა ცირა, ელდა ნაკრავი,
მაგრამ საყვარლის სურვილს დანებდა,
თან წამოიღო სევდის საკრავი,
გულს რომ ესობა მჩხვლეტავ დანებათ.

წინ მიდიოდა მუშათა საქმე
და მტკიცდებოდა მათი კავშირი.
ამაფეთქებელს აწყობდენ ნაღმებს
და ჰქონდათ მასზე კამათი ხშირი.
უკანასკნელი მოვიდა ჟამიც
და წარადგინეს მოთხოვნილება:
„ვიგ იყო მუხლი სულ სამჯერ სამი,
მაგრამ შეჰქონდა დიდი ცვლილება.
ქვემ კი ეწერა შენიშვნა ვრცელი:
„მოველით პასუხს, ან **ჰოს**, ან **არას**;
თუ „**ჰო**“ ითქმება—ჰა, ჩვენი ხელი,
თუ „**არა**“—მაშინ, დიდი, პატარა,
ვით ერთი კაცი, გავიფიცებით,
ვერ შეგვაშინებს მუქარის სროლა;
რა საჭიროა დიდი მტკიცება:
უფლებისათვის ჩვენც ვიცით ბრძოლა“!
ალა-ბატონებს ეცვალათ ფერი.
ტანში შეუდგათ შიშის ქარები.
ასწონ-დასწონეს წამს ყველაფერი
ელვის სისწრაფით და აჩქარებით.
იქაც აცნობეს, ჯერ იყო სადაც,
აამოძრავეს ბნელეთის ხელი,
ბოლოს საკითხი გადასჭრეს სადათ:
პასუხს არჩიეს დუმილი გრძელი.

ვარ. რუხაძე

(დასასრული იქნება)

ჩვენი კინო

,,ქარიშხალის წინ''

დადგმა კ. მარჯანიშვილის, სცენარი შალ. დადიანის, გამოცემა სოც.-უზრ. კომისარიატისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სნეული ქალი

ის სნეულდება.
მისი გული ეხლა ბერდება.
უყვარდა ერთხელ მზესთან თამაში
და გაზაფხულთა უნაზესი ახავერდება.

—

ის იყო მაშინ სათუთი ბავშვი.
მის სხეულს სდევდა მარადი დაღლა;
მოსწყინდა შებმა ქალაქის ქართან
და შორს ნაძვნარში სამკურნალოდ გადაესახლა.

—

გაფრინდა თეთრი გუნდი სიზმართა.
შეწყდა ზღაპარი განვლილ დროების
და სიყვარულიც გადაიჩრდილა.

—

სდუმს ხეივანი.
აღარ კამკამებს ბაღჩაში დილა

—

როს ვწერდი ამ ლექსს:
ტყემლების მსუბუქ ყვავილების
ვისმენდი შრიალს.
ეს იყო მაისის დამლევს,
როცა მომსკდარი ნიავები
(ჩემს ქვეყანაში მარად ულევი) ოცნებებს შლიან
და გულში უხვად იღვრებიან
სიყვარულის ნაკადულები.
. . . . . .

—

და ეხლა როცა განთიადები
დაეშვებიან ცისფერ მტევნებად:
ის დადის ჩუმად მკვდარ შადრევნებთან
როგორც დაჭრილი შველი
და მოგონების თეთრ კარავიდან
ვიღაცას ელის...

არნო ონელი

ელვირა

...აროდეს მთვარე იქ არ ყოფილა
ისე ყვითელი ნაზად ელვარე. .
ღამე დაფნებში აქლოროფილდა,
შენ შადრევანთან თრთოდი ელვირა.
დნებოდა მთვარე ოქროს ღვარებათ...

—

შენ ათოვებდი სხვა სიფერმკრთალეს,
გიშრიალებდა თმები გიშერი,
ნდობას აბნევდი ჭრელი თვალებით
ქალწული სუსტი და ტანშიშველი.
უმანკო ლოცვით ხელებს გიშვერდი ..

—

ვინ იცის, უწინ იმ მწვანე ცაზე
რამდენმა მთვარემ გადაიარა
და გადაცვარულ თეთრ ნარგიზებზე
ცრემლით სოველი გაფრინდა ქარი.
ელვირა მსურდა ეს გადარევა...

—

მკურნელი მზერა, ის ტყე, ის ბაღი
და სურნელება მაგნოლიების,
ვერცხლის მდინარე სტიროდა გაღმა
და ცრემლებს ღვრიდა ნაზი იები.
ყველაზე უფრო მე დავიღალე...

—

ახსოვს მინდვრიდან როცა დავბრუნდით,
მთვარე იღვროდა მწვანე სუროდან,
და მთვრალ ფუტკრების ცისფერი გუნდი
იქ ჩვენ გარშემო ტკბილად ბზუოდა:
ელვირა! სულში ნატვრა სცურავდა...

—

მე ეს სიშორე ეხლაც გულს მიკლავს,
და მახსენდება ის გაჟრჟოლება,
როცა ჩვენს ირგვლივ სწვიმდა მუსიკა
და შრიალებდა მწვანე ბეოლები.
ელვირა! მაკრთობს ეს დაშორება...

—

საით გეძიო? ურიკხვ ფიქრებით
ეხლაც მამძიმებ. შორი მანძილის
შენ აათრთოლე ეთერის სივრცე
ოქროს მძივებით, და შენს ტუჩებზე
ვიგრძენი ფიცი სხვა ნეტარების
ელვარე,— ელვირა! ელვირა!..
. . . და მახსენდები კვლავ იმ მთვარის წინ,
ცივ იანვარში დამტოვე ბავშვი,
როცა მეძინა თეთრ არშიებში...
ელვირა! ელვირა! შენ ხარ ხანჯალი
და ეშაფოტი... ღამის შარბათი...
და შენ ხარ ღამე სხვა გაღიმების
ელვირა.. ელვირა!.. ელვირა...“

ვანლერ დაისელი

ერთოგის მკადაგეგელი

(გიორგი წერეთლის გარდაცვალებიდან 25 წ. შესრულების გამო).

მ ო ბ ო ნ ე ბ ა

მაისის პირველ რიცხვებში, 1883 წ. პირველად მოვდიოდი ტფილისს. მატარებელს, რომლითაც მოვდიოდი, ბოლოზე დერეფნიანი, ლურჯი, სამეფო ვაგონი ჰქონდა მიბმული.

რიონის სადგურზე უთვალავი საეკლესიო ბაიარაღებიანი სამღვდელოება თუ სამოქალაქო წარმომადგენელნი, ქუთაისიდან მოსულნი; იყვნენ ჩამწკრივებულნი. მემაქანემ მატარებელის „სამეფო ვაგონი“ სწორედ ამ ბაიარაღების წინ გაიჩერა...

ვაგონიდან გადმოვედი, დიდის გაჭირვებით წარმომადგენლების წინ მივატანე. სიტყვა სომხურ ენაზე იყო, ქუთაისის სომეხთა ეკლესიის ტერტერასაგან დიდის მჭერმეტყველობით და ეჭუხარე ხმით წარმოთქმული... ამის შემდეგ წამოდგა ერთი ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი, წვრილი და გამხდარი კაცი და შემდეგი სთქვა:

„როგორც საქართველოს, ისე სომხეთის ერს ბევრი ბრწყინვალე დრო გაუვლია, ბევრი ტანჯვა და წვალება გადაუტანია, ბევრი სასიქადულო, თავდადებული და შეგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებული მამულიშვილნი გამოუზრდია და ამათი თავდადებული მუშაობით, როგორც საქართველო, ისე სომხეთი, რთ დროს, დიდ სახელმწიფოთა სწორ სამეფოებათ იწო-, დემოდენ. მაგრამ ხშირად ეს დიდი სამეფოები შეუგნებელ ქვეყნის გამგეთა ხელშიც იმყოფებოდა... ისტორიის ქარტეხილმა, ჩვენი ძველების შეუგნებლობამ, შურმა და მტრობამ, შინაურმა განხეთქილებამ და გაუტანლობამ, როგორც სომხეთის, ისე ქართველმა ერმა დაჰკარგა პოლიტიკური თავისუფლება, დამოუკიდებლობა...

დღევანდელმა, ამ ორი ერის უფროსმა წარმომადგენელებმა, მოწინავე მოღვაწეებმა და მამულისშვილებმა უნდა შეიგნონ და გაასწორონ ძველების შეცდომა, დაგმონ ეს პოლიტიკა და იზრუნონ ამ ორი ისტორიული ერის კეთილდღეობისა და მისი სადღეისო საჭიროებისათვის.

რა ესაჭიროება დღეს სომხეთისა და საქართველოს ხალხს? ორივე ერს მეტისმეტად ესაჭიროება: „ძმობა, ერთობა და სიყვარული“, და ჩვენი, მოწინავე წარმომადგენლების, წმინდა მოვალეობაა, ვიაროთ ამ გზით თანხმობით, შევასწავლოთ და შევათვისოთ ჩვენს ხალხს ურთიერთისადმი პატივისცემა, მოვალეობა და სიყვარული. უნდა შევასწავლოთ, რომ „ძალა ერთობაშია“. და თუ ჩვენ ამ გზას გვერდს აუქცევთ, ჩვენს ერებს მოელის კიდევ უარესი: გადაშენება და მოსპობა“-ო...

ეს სიტყვები ისე მჭერმეტყველურად წარმოსთქვა ჩოხოსანმა და ისე მომხიბლა, რომ ხუთ-ექვს კაცს ვკითხე: ვინ იყო ეს კაცი, და „სამეფო ვაგონში“, შავ აბრეშუმებში შებურვილი ბერი? მეექვსე კაცისკენ გავიგე, რომ პირველი იყო გ. წერეთელი, მეორე სომეხთა კათალიკოსი, კონსტანტინეპოლიდან მომავალი.

ამ დღიდან გ. წერეთელი შემიყვარდა. მის ნაწერს, წიგნებს და სტატიებს სანთლით ვეძებდი წასაკითხავად.

1893 წ., როდესაც ან. თ.-წერეთლისამ „კვალი“-ს გამოცემა დიიწყო გიორგის ხელმძღვანელობით, უფრო დავუახლოვდი როგორც ჟურნალის გამავრცელებელი, ხშირად მის ბინაზე დავდიოდი.

ქართველ მოღვაწეთა და მწერალთა ჯგუფში, გარდა ივანე მაჩაბლისა, გიორგისთანა თავმდაბალს, გულწრფელს, ტკბილ მოსაუბრეს, მშრომელი ხალხის ნამდვილ მოყვარულს, საამხანაგო ალაცს და ქვეყნის უანგარო მოღვაწეს არ შეგხვედრივარ.

1894 წ. ე. ნინოშვილის დაკრძალვის მეორე დღეს გიორგიმ ოზურგეთში წამოსვლა მოისურვა ჩემის თხოვნით და მეწვია.

დილას, ათი საათი იქნებოდა, რომ ჩაის სმა გავათავეთ და ქვედა სართულში, წიგნთ-საცავ-სამკითხველოში ჩავედით. სამკითხველოში ხუთმეტიოდე მონტელიგენტო ახალგაზრდა იყო და თავ-თავისთვის კითხულობდენ.

საერთო მისალმებასთან ერთად ახალგაზრდობას ვუთხარი, რომ ჩვენს წიგნთ-საცავს ესტუმრა, ყველა თქვენგანის პირადად უცნობი „კვალის“-ს რედაქტორი გ. წერეთელი.

მთელი ახალგაზრდობა, ერთ კაცსავით წამოდგა და ამით პატივი სცა გიორგის.

გიორგიმ მადლობასთან ერთად სთხოვა ახალგაზრდობას დამჯდარიყვენ. დავსხედით.

ერთი წამის სიჩუმის შემდეგ ილარიონ თაყაიშვილი შეგვეკითხა: როგორ დავკრძალეთ ე. ნინოშვილი, ვინ დაესწრო, ვინ შეამკო გვირგვინებით, ვინ წარმოსთქვა სიტყვები და სხ. შემდეგ ვლ. დარჩიაშვილის საპროგრამოდ წარმოთქმულ სიტყვის გარშემო გაიმართა საუბარი.

ბოლოს, იგივე თაყაიშვილია შეეკითხა გიორგის როგორია თქვენი აზრი თანამედროვე ბიუროკრატიულ წესწყობილების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზეო?

გიორგი ამ შეკითხვამ უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო: ამდენ უცნობ ახალგაზდაში როგორ გამოეთქვა თავის პოლიტიკური მწამსი. იქით-აქეთ გახედვის შემდეგ, მე შემომხედა.

მე ვუთხარი: ჩვენს სამკითხველოში იუდა ვერ შემობედავს; თავისუფლად და უშიშრათ ილაპარაკე მეთქი. ამის შემდეგ გიორგიმ გაბედვით დაახასიათა, თუ რაგვარ ბრძოლას აწარმოებდა ქართველი პირველი თაობა, შემდეგ მეორე, 1870 წწ. და რა წესით უნდა შეიცვალოს აწინდელი ბრძოლა მესამე თაობისაო.

დღევანდელი მოწინავე და შეგნებული თაობა უნდა ცდილობდეს ხალხისა და მუშათა კლასის მომზადებას, მასში წერა-კითხვის გავრცელებას, გათვითცნობიერებას, ცოდნის შეტანას, აი, ამ გათვითცნობიერებული ხალხის შეერთება-შეკავშირებას, და ამგვარათ დიდი ლაშქრის შექმნას, რომელშიც უნდა შედიოდეს ყველა ერის შვილი, რომელიც კი ჩვენში ცხოვრობს. ხოლო ამ გვარი მომზადებისა და შეკავშირების შემდეგ შეიძლება მტრის ციხე-სიმაგრეზე მისვლა და მისი დანგრევაო...

ამ გვარი სიტყვა არც მე, და მით უფრო, ჩვენს ახალგაზრდობას არავისაგან არ გაუგონია და პირველად გვესმა და დაოვიწყარი შთაბეჭდილებაც დასტოვა ჩვენზე.

კ. თავართქილაძე.

პროლეტარული თეატრი

II

(იხ. „თ. და ც.“ № 1.—სადისკუსიოდ).

საქართველოს მუშათა კლასი ყოველთვის სოციალისტური იყო, ქართველი მუშა ყველგან მაგარი ხერხემლიანი მარქსისტი იქნება.

მარქსისტული სულით დაიწყო ჩვენი მშრომელთა მასის პოლიტიკური აღზრდა.

მარქსისტული სკოლა დაედვა სარჩულად ჩვენი მშრომელ მასსის კულტურულ განვითარებასაც.

ზოგიერთი მწერალი უარყოფს ჩვენში პროლეტარული კულტურის ჩანასახსაც კი.

არ იყო ქართულ პოეზიასა და ბელეტრისტიკაში პროლეტარული მიმართულება?

ვინ იყო ეგნატე ნინოშვილი და როგორი სულის არის მის შემოქმედება?

ვინ იყო იოსებ დაკითაშვილი, ვინაა ვ. რუხაძე, გ. ქეჩიშვილი, გ. ხეჩიაშვილი და—დღეს სრულიად ახალგაზრდები: იონა ვაკელი, ს. ეული, პ. სამსონიძე, ა. მაშაშვილი?

ხალხის პირმშო შვილები, მისი გულის ნადების ამსახველნი.

როგორი იყო ჩვენი თეატრი?

1923 წლის დეკემბერში ტფილისის პროლეტარიატმა იდღესასწაულა თავისი თეატრის 30 წ. იუბილე.

რომელია ეს თეატრი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისის სახალხო სახლი. ამ თეატრის საძირკველი ტფილისის მოწინავე მუშების ძლიერი ნებისყოფით არის გასკვნილი. 30 წლის წინად დაუპირდაპირდა ქართველი მუშა ე. წ. „თავად-აზნაურულ თეატრს“ და შექმნა თავისი საკუთარი სამლოცველო.

სახალხო სახლის შინაარსი დიდია და განუზომელი.

ვინც თვალყურს ადევნებდა ჩვენი კულტურის წინსვლას და გული შესტკივა ხალხის ესთეტიურად აღზრდისათვის, მან, უეჭველია, იცის სახალხო სახლი და მისი ისტორიული როლი.

ქართველი ერის დუხჭირი პირობების დროს, როცა მონარქიზმის უკიდურესი რეაქცია ალიხანოვშჩინით გვიმასპინძლდებოდა, ტფილისის სახალხო სახლის სცენაზე კულტურული სახით პოლიტიკური მუშაობა იყო გაჩაღებული. რამდენი რევოლიუციონური პიესა წარმოუდგენიათ კონტრაბანდათ სხვადასხვა სახელწოდებით, იმ სახელით, რომელიც ჟანდარმერიას ესიამოვნებოდა!

სახალხო სახლი სამი ათეული წლის განმავლობაში ნამდვილი საყვარი იყო, რომელიც პროლეტარიატს რევოლიუციონური აჯანყებისაკენ მოუწოდებდა.

სახალხო სახლი სასტიკად ებრძოდა „ქართულ თეატრს“, სადაც ხანდისხან შოვინისტური პიესებიც იდგმებოდა, და სწორედ ამ ბრძოლაში მოიპოვა საქართველოს მშრომელთა დიდი სიყვარული.

არავის არ ახსოვს სახალხო სახლის მუდამ ინტერნაციონალურ სცენაზე კაციჭამიური პიესების დადგმა.

სახალხო სახლი ყოველთვის იყო პროლეტარიატის მესვეურთა ხელში.

სახალხო სახლი ყოველთვის იყო პროლეტარული თეატრი.

როგორი შეხედულების არიან ხელისუფლების ხელმძღვანელნი სახალხო სახლზე?

საქართველოს პოლიტიკური განათლების მეთაური ღ. რუხაძე ერთ წერილში აღიარებს: „სახალხო სახლში მომზადდა არა ერთი და ორი პრაქტიკული მოღვაწე, რომელთაც შემდეგ დიდი სამსახური გაუწიეს მუშათა განთავისუფლების საქმეს. აი უტყუარი საბუთი, რომელიც აშკარად ღაღადებს მუშათა თეატრის, კლასიური ხელოვნების დამსახურებაზე და მომავალზე“.

შემდეგ: „ტფილისის სახალხო თეატრმა ბრწყინვალედ შეასრულა თავისი მოვალეობა მშრომელთა მასების წინაშე. ჩვენი მატერიალური დახმარება და ყურადღება ამიერიდან სავსებით უნდა მივმართოთ კლასიურ-პროლეტარულ თეატრის შექმნა-აღორძინებისაკენ“.

ამგვარად ჩვენ დავამტკიცეთ, რომ საქართველოში ოცდა-ათი წელიწადია არსებობს კლასიური თეატრი და, მაშასადამე, პროლეტარული.

როგორია დღეს მისი პერსპექტივები?

ყოფილი სახალხო სახლი დღეს მოცემულია წითელი თეატრის სახით, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს პროლეტკულტი.

ეს უკანასკნელი სრულიად ახალგაზრდა ორგანიზაცია არის, რომელიც წითელმა ოქტომბერმა წარმოშვა.

რა აქვს მიზნად დასახული წითელ თეატრს?

კლასიური ხელოვნების გაღრმავება.

დღეს ევროპის სინამდვილეში ხელოვნების დარგი ათასნაირ სკოლად არის დაყოფილი: სიმბოლიზმი, ფუტურიზმი, ექსპრესიონიზმი და სხ. მრავალი იზმი, მაგრამ მუშათა კლასი მათ ვერც ერთს ვერ მიიღებს, ვერ მიიღებს იმიტომ, რომ ყველა ეს მიმართულება შექმნილია ბირჟაზე მოღლილ ბურჟუაზიის შესაქცევად.

განათლებული ევროპის ხელოვანნი პურჟუების გასართობათ კლოუნობენ კიდევაც, მაგრამ ჩვენს თეატრს და ხელოვნების ყოველ დარგს უნდა ჰქონდეს აღმზრდელობითი ნიადაგი, რადგანაც მათ უნდა მოამზადონ მომავალი თაობა მოსალოდნელი სამკვდროსასიცოცხლო კლასიური ბრძოლისთვის. წითელი თეატრის მიზანი სწორედ წმინდა კლასიური თეატრის შექმნა უნდა იყოს.

შესძლებს თუ არა პროლეტკულტი ასეთი თეატრის შექმნას?

თუ სახალხო სახლმა მხოლოდ და მხოლოდ მუშების დახმარებით იარსება ოცდაათი წელიწადი და, რაც მთავარია, ამ ხნის განმავლობაში წუთითაც არ ფულატნია თავისი მოწოდებისათვის, დღეს როცა ხელისუფლება სავსებით მუშების ხელში იმყოფება, წმინდა პროლეტარული თეატრის აყვავებაში ეჭვიც არ უნდა შეგვდიოდეს.

ფილისტერები გაიძახიან: „წითელი თეატრი ვერ შესძლებს არსებობას. ხომ ხედავთ სისტემატიური წარმოდგენების გამართვა დღემდე ვერ მოახერხაო“...

სახალხო სახლში ყოველთვის იყო სისტემატიური წარმოდგენები და ხალხიც ბევრი ესწრებოდა, მაგრამ ამ საზოგადოებაში ჩვენ ამას ვერ ვხედავთ.

რაშია საქმე?

იქნება ვინმე დეზერტირობს, სახელით წითელ თეატრთან არის დაკავშირებული და სახრავად სხვა თეატრებს ეკუთვნის?

პროლეტკულტმა ყოველგვარი ზომა უნდა მიიღოს, რომ წითელ თეატრში წარმოდგენები სისტემატიურად იმართებოდეს და ყოფილი სახალხო სახლის აუდიტორია ძველებურად მუშებით აივსოს.

ტფილისის პროლეტარული თეატრი უნდა იქნეს მთელი სხვა თეატრების ტონის მიმცემი. წითელმა თეატრმა თავის სტუდიაში უნდა გამოზარდოს მუშა-მსახიობნი, რომელნიც საქართველოს ყველა კუთხის სახალხო სახლებს გასწვდებიან. პროლეტკულტმა უნდა შექმნის ასეთი მდგომარეობა. პროვინცია აქედან უნდა დებულობდეს დირექტივებს.

ხელისუფლება თავის მხრივ ყოველნაირად უნდა დაეხმაროს პროლეტკულტს.

მაშინ პროლეტარული თეატრი ფართედ გაშლის ფრთებს... მიწის ლინოყიერეს დაუბრუნდება და ქართული ხელოვნება. სინამდვილეს დაუკავშირდება.

შალვა გომართელი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადო მოღვაწეები

ექ. დიმ. კონ. ერისთავი

ერთი ფრანგი მეცნიერი ექიმის დანიშნულებისა და ნოწოდებაზე ამბობს: ექიმის მოღვაწეობა, მისი საპატიო დანიშნულება, მხოლოდ მაშინ არის მაღალი და ღირსშესანიშნავი, როდესაც ის აღმოცენებულია არა ანგარიშზე—ფულის და ქონების შეძენაზე, არამედ დიდ სიყვარულსა და თავდადებაზე მწუხარე და ტანჯვაში მყოფ ადამიანის მიმართ. პირველ შემთხვევაში ის უბრალო მოხელეა, მეორეში კი დიდი ადამიანი: ის ადვილად სწვდება ხალხის გულს და იმორჩილებს მასო.

სწორედ ამ ჯანასაჯელ ექიმთა რიცხვს ეკუთვნოდა განსვენებული დიმიტრი ერისთავი.—ის თავის მოვალეობას ეკიდებოდა იდეალურად და ყოველ საშუალებას ხმარობდა ტანჯვაში მყოფი ადამიანი ეხსნა.

დიდი მომზადებული იყო პრაქტიკულად და თეორიულად; სნეულებათა ყოველი დარგიდან ჰქონდა ცოდნა-გამოცდილება; ერთსა და იმავე დროს იყო მშვენიერი დაკვირებული შინაგან სნეულებათა მცოდნე და დოსტაქრობაშიაც მარჯვე ხელისა.

დიდი სიყვარული ჰქონდა დამსახურებული გურიაში. „ჩვენი ტიტიკო მომიყვანეთ, ის მიშველისო“,—ამბობდნენ ძალზე შეწუხებულნი ავადმყოფნი.

მწერლობაშიაც ცნობილია: დაწერილი აქვს რამდენიმე მოთხრობა და პიესა („ნაქვთები“, „დაუსრულებელი რომანი“ ღა სხ.).

დიმიტრის მოღვაწეობა მაგალითი იქნება ყველა იმათთვის, ვისაც სურს ემსახუროს ჩვენი ხალხის ჯანმრთელობის და წინმსვლელობის საქმეს.

გრიგოლ კუნჭულია

თეატრები პროვინციაში

ჩვენი ეროვნული ორგანიზმი, ეჭვს გარეშეა, კულტურული სისხლნაკლებობით არის დაავადებული. ასეთ გარემოებაში, ჩვენ გვიხდება დიდი ბრძოლების გადატანა მასის ების გათვითცნობიერებისათვის. გარემოება და დრო გვიკარნახებს, ჩვენი სახელოვნო პოლიტიკა გამოყენების სფეროში გადავიტანოთ. ეს განსაკუთრებით შეეხ ა იმ კულტურულ საქმიანობას, რომელსაც ჩვენ პროვინციაში ვაწარმოებთ.

საქართველოში ყველაზედ ბევრს თეატრზე სწერენ და ლაპარაკობენ. ძასსების კულტურული გათვითცნობიერების თვალსაზრისით, ასეთი მოვლენა ყველაზედ ჯანსაღია და გამართლებული.

დღეს აღარ იწვევს დავას თეატრის დიდი მნიშვნელობა და დანიშნულება. თეატრი ჰქმნის ადამიანის სულის ორგანიზაციას, ამაღლებს გრძნობებს, ასაზრდოებს ინტელლექტს და იწვევს იდეების გადაშენებას. უნდა ითქვას გაბედულად, რომ ჩვენი კულტურული მიზნების საჭიროებისათვის, თეატრი ყველაზედ უკეთ გაამართლებს თავის თავს. ეს მით უფრო მართალია, რომ ქართველი საზოგადოება ტრადიციულად და ისტორიულად შეეზარდა თეატრალურ სახიერებას.

მაგრამ ჩვენს თეატრებში ყველაფერი არ არის რიგზე ჩვენი პროვინციის თეატრალებს ხშირად ავიწყდებათ ძალიან მარტივი დებულებები. ჩვენი მიზანია, ზოგიერთი პრინციპიალური ნაკლის აღნიშვნა, იმ იმედით, რომ ეს იქნება უკანასკნელი და გამეორების საჭიროებას აღარ გამოიწვევს.

აზრი და იდეა მაშინ იჭრება ადამიანის ცნობიერებაში დიდი პროდუქციით, როდესაც მთელი მისი სულიერი გაწყობილება საამისოდ მზათაა და მომწიფებული.

შემოქმედების ფართე არეში ხელოვნების პრიმატი ამ საკითხს უნდა დაეუკავშიროთ.

მშვენიერების განცდა ადამიანის თანდაყოლილი ნიჭია და ყოველი ჩვენგანი ბუნებრივად გაურბის მახინჯს და აესთეტიურს. სილამაზე—ფორმაა საგნის, და მისი გამოყენება ყოველ ნივთს და მოვლენას ცნობიერებისათვის ადვილმისაღებათ ხდის. უკანასკნელი დროის პსიქოლოგიურმა მეცნიერებამ, ეს გარემოება ფართედ გამოიყენა პედაგოგიური მიზნებისათვის. მით უმეტეს, ეს ითქმის ხელოვნებაზედ, სადაც მშვენიერება და სილამაზე პრინციპამდეა აყვანილი. ან რატომაა დიდი მნიშვნელობის ის საკითხი, თუ როგორაა განსახიერებული ესა თუ ის იდეა მხატვრულ ნაწარმოებში. აქ კითხვა პირდაპირ ასე სდგას: არ კმარა. **რას** სწერ... საკითხავია: **როგორ** სწერ...

კერძოდ თეატრზე იგივე ითქმის.

რაც უნდა დიდი იყოს იდეა პიესის, იგი მოკლებული იქნება ყოველგვარ ღირებულებას, თუ მისი სცენიური განსახიერება არ სდგას თავის სიმაღლეზედ.

გადავხედოთ ჩვენს პროვინციის თეატრებს.

ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ ამ მხრით იქ ბევრია არა თუ უკმარი და მიუღებელი, პირიქით—საშინელი და მხატვრული გემოვნების შემლახავი.

ჩვენ გვესმის პროვინციის თეატრების ბედი. ჩვენ არ გვავიწყდება მათი მუშაობის მძიმე პირობები. მაგრამ ძალიან ხშირია, როდესაც პირობებიც დამაკმაყოფილებელია ფულიც საკმაო, ხოლო დაუდევრობა და ხელმძღვანელის უყოლობა აქ იმავე შედეგებს იძლევიან.

პროვინციის ყოველ თეატრალმა კარგად უნდა იცოდეს, რომ აქ გაჩერება შეუძლებელია. ასეთი მდგომარეობის ფოკუსი სწორედ იმაშია, რომ თეატრი იძლევა შებრუნებულ შედეგებს. ხალხი ასეთ თეატრს გულცივად ეკიდება და მის ხელმძღვანელებს „უსაქმო ხალხს“ ეძახის.

რამდენი შემთხვევაა პროვინციის თეატრებში, როდესაც სცენისმოყვარენი სრულიად მოუმზადებელნი გამოდიან სცენაზე? ეს ხომ ადვილად საწვდომი საქმეა! გარდა ამის, რა ჩვენება და გარეგან კარნახი უნდა ეცპერტუარის სათანადო შერჩევას? ყველა ინტელლიგენტს შეუძლია თავისი ძალების და სცენიური ტეხნიკის მიხედვით აირჩიოს პიესა.

ამ საქმის მოგვარებას ჩვენ ვფიქრობთ ზევიდანაც. მთავარმა სახელოვნო საბჭომ პირდაპირ ბრძანების კილოთი უნდა გააფრთხილოს პროვინციის თეატრალები. მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრამ არც ეს კმარა. საჭიროა საქმიანობის გამოჩენაც.

ოფიციალური ცნობებიდან ვიცით, რომ სულ მოკლე ხანში საქართველოში მოძრავი თეატრი იქცევა საქმედ. სახელმწიფო აკადემიური დრამა, საქართველოს მრავალი კუთხის შემოვლით, დიდ დახმარებას გაუწევს პროვინციის თეატრალებს. ეს იქნება კულტურული რევიზია და მაგალითის ჩვენება. საჭიროა მხოლოდ ადგილობრივმა სცენისმოყვარეებმა მეტი პუნქტუალობა გამოიჩინონ.

ყო ელ დღე მოდის ახალახალი ცნობები სხვადასხვა დაბა-სოფლებში თეატრების გახსნის შესახებ. ჩვენ პირდაპირ ვამბობთ, რომ ეს მოვლენა ავადმყოფურ სენად გადაიქცა, რომელიც ჩვენს ძალებს აღემატება. თუ ამ ახალ თეატრებში ისეთივე სული გამეფდება, რომლითაც, საუბედურად ცოცხლობს ბევრი პროვინციის თეატრი—საქმის ინტერესებისათვის უმჯობესია თავშეკავება და მეტი კრიტიკული მხედველობა.

არ შეიძლება თეატრის სახელით ხალხს მოაჩვენო ცირკი და ბალაგანი. ვისაც უყვარს კულტურა, ის ეცდება ებრძოლოს ამას. ამაზედ სიტყვა უნდა გაისმას, როგორც ქვევიდან, ისე ზევიდან.

კენტავრი

რუსული კინო

„აელიტა“ 2 სერია 14 ნაწ. გამოც. რუს. სახ. კინოსი 1924.

კინოში ფანტაზია ერთი აუცილებელი პირობაა. იგი გასაქანს აძლევს კინოს თვის სახეობის გამოსაჩენათ და დადგმისთვის საუკეთესო მასალაა.

დასავლეთის კინოები ამას ამართლებენ. იქ ეს დაძლეულია ტეხნიკით. ტრიუკით.

სცენარი სრულდება. დადგმა ამართლებს მას.

„აელიტა“ ერთ ასეთ სურათად ჩაითვლება.

აქ არის ფანტაზია. მოცემულია მიწა—სინამდვილე, მარსი—ოცნება. მაგრამ ასეთ პირობის დროს ექსტაზი ნელდება სცენების დაულაგებლობის გამო. სცენარში ფანტაზია მაინცა და მაინც არაა გამოყენებული. მარსის ცხოვრების ასახვა უფრო ძლიერი უნდა ყოფილიყო თვისის საოცრებით და საკვირველებით.

სურათში ყურადღებას იპყრობს დეკორაცია, შესრულებულია კუბისტური მოსმებით, დაძლეულია: მარსი გარედან დანახული.

მარსიანელების კოსტიუმები არაა გამართლებული. იგი სხვა სახით უნდა ყოფილიყო მოცემული.

სცენარის დამუშავებას აკლია ერთნაირი სვლის დონის აღება:

სიმშილი რუსეთში. მატარებლები სავსე დამშეულებით. თეატრში ბრბო დამშეულთა, რევოლიუციით შერხეულთა—ეს სურათში ერთგვარი დეფეკტებია. ეს არის მეტი ბარგი სურათის. ფანტაზია მარსზე. ეს ერთი თემაა. საჭირო არ იყო სხვა ხაზების შემოტანა.

სურათს აინტერესებს ორი არსის მშვიდი შეთავსება: მარსი სავსე ოცნებებით. მიწა კი სინამდვილე. ჟუჟა.

მეტად ეფექტიურია ადამიანის გამოჩენა მარსზე. რაღაც უცნაურის ერუანტელით მიდის ყოველი სურათი. კარგი დადგმაა რევოლიუცია მარსზე. აქ ლოსი მოდის მიწიდან თვისი ცეცხლით. რევოლიუციით მიწიერობით. კარგია აგრედვე მანქანის აფრენა. შესაძლებელი იყო მისი უფრო ფართოდ გაშლა.

სურათი სავსეა კონტრასტიულობით. იგი მეტად აგიტაციური ხასიათისაა.

შრომა და სინამდვილე, წინააღმდეგ ოცნებების და ძიების

მთელ სურათს ახალისებს კომიკური ნაკვეთები. ეს კინოში აუცილებელიცაა.

არტისტები ყველგან გამართულად იყვნენ. წერეთელმა დასძლია ლოსის როლი. ამ სურათში გვიჩვენება დიდ კინომსახიობად.

„აელიტა“ ერთ კარგ სურათად ჩაითვლება რუს. სახ. კინოს გამოცემებს შორის.

კ. ჯ.

სად რა კეთდება—ვინ რას აკეთებს?

ვემზადნეთ სახალხო სახლში შესასვლელად

თელავში დაარსდა დრამატიული წრე, რომელშიაც შედის 30-დე სცენის მოყვარე. დეკემბრის 1-ელ რიცხვებში ჩაეყარა საძირკველი მუდმივ დრამატიული წრის არსებობას. თავი მოიყარეს აქ მყოფმა ძველმა სცენის მოყვარეებმა, შეიყვანეს ახალი ძალები და ფიცი დასდეს, ერთგულად ემსახურონ თელავის ღარიბ სცენას და მჭიდრო კავშირით სძლიონ ის დაბრკოლებები, რომელიც არსებობდა დღემდის. ამხანაგებმა აღნიშნეს მთავარი მიზეზები, რაიც არ აძლევდა საშუალებას თელავში მუდმივ წრის არსებობას. ეს იყო ერთის მხრივ ეკონომიურად გაჭირვებული მდგომარეობა სცენის მოყვარეებისა და მეორე—უფრო მთავარი—გამეფებული ჭორიკანაობა, ინტრიგა და სხვა ამგვარი, რაც აშორებდა ამხანაგებს ერთმანეთისაგან. ყრილობაზე გამოიმუშავეს ამხანაგური დისციპლინა, აირჩიეს გამგეობა და შეუდგნენ პროფკავშირების კლუბში სისტემატიურად წარმოდგენების მართვას.

1. სოსო მაჭავარიანი—პროფკავშირებთან არსებულ კულტკანყ. გამგე. 2. კოტე ჭელიძე—ძველი სცენის მოყვარე, მსახიობი, 3. გიორგი კახელაძე—სცენის მოყვარე (ტამბის ძველი მუშა), 4. ვახტანგ ბაკურაძე—ძველი სცენის მოყვარე და 5. ილ. ბურპულაშვილი—სცენის მოყვარე.

მათივე თაოსნობით წარმოდგენის წინ იცემა ცოცხალი გაზეთი, რაიც დიდ ყურადღებას იქცევს საზოგადოებისას. აქვე დაარსდა მომღერალთა გუნდი ტატო მგალობლიშვილის ლოტბარობით. გუნდში შედის 27-დე მომღერალი და სწავლობენ ქართულ რევოლიუციონურ და სხვა სიმღერებს.

ჩვენდა სასიხარულოდ ამ ბოლო დროს გამოცოცხლდა კულტურული მუშაობა თელავში და ახალი ძალებით მომზადებულნი, ემზადებიან სახალხო სახლში შესვლას, რომელიც დამთავრდება ამ ცოტა ხანში.

უსურვოთ წინსვლა და ურყევი სამსახური ხელოვნებისადმი.

კახელი სოსო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. ორახელაშვილის სახელობის ნავთლულის რკ. გზის მუშათა კლუბი

ნავთლულში შარშან ადგილობრივი კულტკომისიამ ერთ პატარა ოთახში მოაწყო სხვადასხვა წრის მეცადინეობა: საერთო განათლების, პროფწრე და სხ. ამავე პატარა ოთახში კლუბის გამგის კ. როშჩინის თაოსნობით იმართებოდა სხვადასხვა ინსცენიროვკა-გასამართლებები და ლექციები ნაირ თემებზე. თავსდებოდა 60 — 70 კაცი, რაიც ვერ აკმაყოფილებდა აქაურ მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ მოთხოვნილებას. ამიტომაც როცა ერთმა პატარა ჯგუფმა განიზრახა კლუბის აშენება, მთელმა მუშებმა ერთსულოვანად მიიღეს მონაწილეობა და 2—3 თვეში შაბათობით და საღამოს მუშაობით ააშენეს მშვენიერი კლუბი. ზემოთ გაიხსნა მაისის 1. მუშების მოთხოვნილებით კლუბს დანრქვა მამია ორახელაშვილის სახელი. სხვა წრეების გარდა მუშაობს ქართული დრამატიული წრე კ. როშჩინის ხელმძღვანელობით. დადგმულ პიესებში აღსანიშნავია: „სულელი“—შიუკაშვილისა და „სოფლის გმირებ.“—ირეთელისა. უკანასკნელი მეტად მხატვრულად იყო დადგმული, რაიც დიდ სიძნელეს წარმოადგენს ამ სცენაზე (დეკორაციის უქონლობით). საერთოდ დრამწრის მუშაობა ნაყოფიერად მიდის. მხოლოდ საჭიროა კლუბს დახმარება მიეცეს დეკორაციის შესაძენად.

Homo.

სათეატრო მიმოხილვა

ქართული აკადემიური დრამა

„გაანზაურებული მდგბიო“—მოლიერის. დადგმა: კ. მარჯანიშვილის და ა. ახმეტელის. (იანვრის 22. 1925 წ.)

მარჯანიშვილს აქვს თავისი რეპერტუარი: „მალშტრეკ“, „ლონდა“, „ინტერესთა თამაშში“, „შპიგელშენ“ და სხ. მოლიერის „გაანზაურებული მდგბიო“ მარჯანიშვილის რეპერტუარის გარეშე სდგას. მიუხედავათ ამისა, იგი სასეზონო პიესად არის გამოცხადებული.

მაგრამ ისიც მაროალია, რომ ყოველ პიესას მარჯანიშვილი ეკიდება თავისებური მზრუნველობით და საკუთარი თეატრალური სტილით. ასე იყო დადგმული ი. გედევანიშვილის „სინაოლე“—ასევეა განსახიერებული „გაანზაურებული მდგბიო“.

მარჯანიშვილის დადგმის პრინციპი სინთეტიზმის გამახვილებაა. მრავალიანობის სინთეზი აქ დაყვანილია ისეთ უკიდურესობამდე, რომ ყოველი ინდივიდუალური მომენტი საერთო მთლიანობაში იხსნება. შეუძლებელია რომელიმე ხაზის პრიმატის შემჩნევა! ყველაფერი ერთი მთლიანი განათებით არის მოცემული.

გასაგებია მარჯანიშვილის რეპერტუარის შერჩევის პრინციპი. იგი უნდა იძლეოდეს თეატრის ყოველი მომენტის გაშლის საშუალებას. აკტიორი, მუსიკოსი, დეკორატორი, ბუტაფორი—ყველა გრძნობს შემოქმედების სუნთქვას, ხოლო რეჟისორი—მთლიანობის პულსს.

„გაანზაურებული მდგბიო“ სავსებით ემორჩილება ასეთ თეატრალურ აპერაციას.

დისსონანსი შეაქვს მხოლოდ დეკორაციებს. ძველი ყაიდის ტილოები—მელანქოლიას იწვევენ.

მსახიობებში შეუძლებელია რომელიმე აკტიორის გამორჩევა. ყველა მათგანი გრძნობს საქმის სიყვარულს და რეალური განსახიერების სულს.

გ. ნ.

თურქული აკადემიურ დრამის დასმა რუსთაველის თეატრში იანვრის ცხრას, ეფდოკიმოვის რეჟისორობით წარმოადგინა „რევიზორი“.

დიდის ხელოვნებით ასრულებდენ გოროდნიჩს—ყურბანოვი, ხლესტაკოვს— ისპაჰანლი, ოსიპს—სალაბლი, ზემლიანიკას—ხალილოვი, გოროდნიჩის მეუღლეს—ქამარ ხანუმი (ქართველია, თოფურია), შეუდარებელნი იყვნენ ბობჩინსკი (სეიფი) და დობჩინსკი (ზაბგალადოვი). კარგი მსახური წარმოგვიდგინა დეიფალულუ აბასო

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელოვნო ქრონიკა

თეატრი

ოპერის თეატრში ქართველ მსახიობდა ამხანაგობის მიერ ოთხშაბათს ივნ. 28 წარმოდგენილი იქნება „ოტელო“.

რუსთველის თეატრში ხუთშაბათს, ივნ. 29-ს, „დურუჯი“-ს არსებობის წლის თავის აღსანიშნავად გაიმართება საღამო: წარმოდგენილი იქნება „შპიგელმენშ“ და წაიკითხავენ დეკლარაციას.

წითელ თეატრში ივნრის მიწურულს დაიდგმის „სამწუხარო შედეგი ანუ ჯანყი გურიაში“, ეგ. ნინოშვილის მოთხრობიდან გადმოკეთებული. პიესას სდკავს ალ. წუწუნავა. დიდი მზადებაა. მონაწილეობს 200 დე ქალი და კაცი.

ქართველ ებრაელთა დრამ. კოლექტივი „კადიმა“ მოკლე ხანში წარმოადგენს გ. ბაზოვის პიესას „სიიდუმლო მინა“-ს, ტრაგ. 5 მოქმ.

დრამატურგია

ახალი პიესები დასწერეს: ა) ნ. ინასარიძემ—„ლენინი ყველგან“, 3 მოქ. მოწონებულია საქართველოს პროლეტკულტის მიერ, დაიდგა წითელ თეატრში, ბ) შ. პონტოსპირელმა „მაჩაბლის ლანდი“, 3 ჩვენებად.

„წმ. იოანნე—ორლეანელ ასულ“-ს, ბერნარდ შოუს პიესას გერმანელოდან სთარგმნის ჩვენი თანამშრომელი თამარ გოგოლაშვილი, რომელიც ამ ჟამად გერმანიაშია. ამ პიესას გერმანიაში შესანიშნავად სდგავენ და დიდი გამარჯვებაც აქვს.

„რევოლიუცია ქიმერების“. შ. პონტოსპირელისა, 4 ჩვენებად, 32 გვ. ფ. 50 კაპ. გასასყიდად გამოვიდა.

ბ. ახოსპირელის დაუბეჭდავი დრამატიული პოემა „კაინი და აბელი“ (ხელნაწერი) პოემა ი. გრიშაშვილმა გადმოგვცა, პოემას მოკლე ხანში დავბეჭდავთ.

მუსიკა

პარიზიდან დ. არაყიშვილს მოუვიდა წერილი, რომელშიც ცნობილი მუსიკოსი ნ. ჩერეპნინი (ჩვენი კონსერვატორიის ყოფ. დირექტორი) თხოულობს დ. არაყიშვილს ქართულ სიმღერებს და სხვა ნაწარმოებს. ამას წინად „Humanitè“-ში ეწერა ჩვენი ავტორის ნაწარმოების შესრულების გამო, ეხლა სხვა პირებიც თხოულობენ რომანსებს სხვადასხვა ინსტრუმენტებისათვის თხზულებებს. დ. არაყიშვილი უგზავნის მოთხოვნილ ნაწარმოებთ.

ალ. მაისურაძის მომღერალთა გუნდის კონცერტები გაიმართება ტფილისის ყველა უბნებში. გუნდში მონაწილეობას იღებს 100-მდე ქალი და ვაჟი, რომლებიც შეასრულებენ როგორც ქართულ ხალხურ, ისეე რევოლიუციონურ და ევროპიულ კილოებს, საგანგებოთ მოწვეულნი იქნებიან გუნდის გარეშე საუკეთესო სახალხო მომღერალნიც. პირველი კონცერტი განზრახულია რუსთაველის თეატრში.

მწიგნობრობა

„ქართული ლიტერატურის ისტორია“—პროფესორ კორნელი კეკელიძის, ტომი მე-II. (მე-XI—XVIII-ს.). რედაქციამ მიიღო აღნიშნული შრომა. ქართული მწიგნობრობის ისტორიაში მისი გამოჩენა უნდა აღინიშნოს დიდი ეროვნული სიხარულით. წიგნი გამოცემულია შესანიშნავად—თომა ჩიქვანაიას მიერ, რომელსაც ეკუთვნის არა ნაკლები პატივისცემა იმ შრომის და სიყვარულის გამო, რომლითაც გამოეკიდულია ეს წიგნი. წიგნი შეიცავს 525 გვერდს და ფასი აწერია 10 მან. ჩენ გვჯერა, რომ იგი დაინ'ვენებს ყველა ქართველი ოჯახის მაგიდას. მოკლე ხანში ჩვენი რედაქცია დაბეჭდავს ვრცელ ბიბლიოგრაფიას.

„ადამიანის წარმოშობა“ ალბ. გრ. გოგობერიძისა მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა, იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა.

განათლების ხალ. კომისარიატის სოციალ-აღზრდის მთავარ-მართველობის სალიტერატურო სამხატვრო სექციის ოედაქციით გამოცემული ათამდე სხვადასხვა შინაარსის სამუშაო წიგნაკები მივიღეო. წიგნაკები ფერადი სურათებით დასურათებულია და ლამაზად გამოცემული დაწვრილებით შემდეგ.

ხმა ადასხვა

აკაკის გარდაცვალებიდან 10 წ. თავი სრულდება ძვ. სტილით ივნვრის 25 (ახ. სტ. თებ. 8).

მარიამ გარიყულის სამწერლო მოღვაწეობის 20 წ. შესრულების აღსანიშნავად ქ. გორში ამ მოკლე ხანში გაიმართება შესაფერი საღამო. საგანგებო მოხსენებას მ. გარიყულის სამწერლო შემოქმედების შესახებ წაიკითხავს დამსახურებული მასწავლებელი და სახალხო ლექტორი ალ. გარსევანიშვილი. საღამოში მონაწილეობისათვის ტფილისიდან გაწვეული არიან მსახიობნი, მომღერალნი, მუსიკოსნი და მწერალნი.

სახალხო თეატრის ერთ დამაარსებელთაგანის მუშამსახიობ გიორგი ჯაბაურის 35 წ. იუბილეს გამართვის შესახებ გაზ. „კომუნისტი“-ს მუშკორთა კრებაზე ივნ. 14 აღიძრა საკითხი. კრებამ სურვილი გამოსთქვა დაწერონ წერილები ამ იუბილეს გამართვის შესახებ.

მამა-შვილი

— შვილო, სად მიხვალ, ვისთან დადიხარ, რას აკეთებ, დღე - ღამე სახლში ვერა გხედავ,--ოჯახს მოვლა უნდა თუ არა?

— უკაცრავად, ამ-ხანაგო მამა, არა მცალიან, მაგაზე მერე მოვილაპარაკოთ!

—!!!

ხელმძღვანელი: **კოლეგია.**
რედაქტორ-გამომცემელი: **იოსეფ იმედაშვილი.**

საქართველოს მეურნეობის უმაღლეს საბჭოს

ჭრა-კერვის მრეწველობის სახელმწიფო ტრესტი

„გრუზშვეიპრომ“ი

ვისაც სურს იაფად და კოზტათ გაიცვას

ის უეჭველად წავა

გრუზშვეიპრომის

მაღაზიებში:

მაღაზია № 1
რუსთაველის პრ. № 11, ელს. 11—38

მაღაზია № 2
მადატოვის კუნძული, ელს. 17-96

ყოველგვარი ტანისამოსი:

კოსტიუმები მამაკაცის, ქალების და გავშვებისათვის

პალტო, წამოსასხამი (შირნაქდენთი), ფრენჩი, შარვალი, ბლუზები და სხვა

მიიღება შეკვეთა
ყველა სახის ტანსაცმელზე

კოოპერატიულ და სახელმწიფო დაწესებულებებს

დიდი შეღავათი

ქარხანა № 1
მელიქოვის ქუჩა № 5

ქარხანა № 2
მადათოვის კუნძული

მთავარი კონტ. და დირექცია
მელიქოვის ქ. № 5, ელსმ. 11—67

1925 წლის 1 იანვრიდან ს.მ.უ. საბჭოსთან დაარსდა სრულიად ახალი
სატუეო ორგანიზაცია

საქართველოს ტყის მრეწველობის ტრესტი

რომელიც 16 ამა იანვრიდანვე შეუდგა თავის მოქმედებას და უკვე დაიწყო ხე-ტყის ყოველგვარ მასალის დამზადება

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მას მოეპოვება შემდეგი საწარმოო აპარატები:

1. გრეხილ ავეჯეულობის ქარხანა სადურგლო განყოფილებით
2. და საავეჯო მაღაზიით } ქ. თბილისში.
3. ხე-ტყის სახერხი ქარხანა
4. შეშის საწყობი
5. ფოთის ხე-ტყის დამამზადებელი რაიონი შემდეგი წარმოებებით:
   ა) № 1 ხე-ტყის სახერხი ქარხანა მდ. კაპარჭინის ნაპირზედ,
   ბ) № 2 „ „ „ „ „
   გ) — „ „ „ სოფ. ყულევში,
   დ) № 1 „ „ „ „ ბახა ანაკლიაში,
   ე) № 2 „ „ „ „ „
6. სვანეთის ხე-ტყის დამამზადებელი რაიონი ხე-ტყის სახერხი ქარხნით სოფ. შამგონაში.
7. ლანჩხუთის ხე-ტყის დამამზადებელი რაიონი ხე-ტყის სახერხი ქარხნით სოფ. ლანჩხუთში.
8. ხაშურ-შორაპნის ხე-ტყის დამამზადებელი რაიონი სოფ. მოლითში.
9. ხე-ტყის სახერხი ქარხანა სოფ. წაბლარას ხევში.
10. ხე-ტყის სახერხი ქარხანა ქალ. ხონში.
11. ხე-ტყის სახერხი ქარხანა სოფ. ნატანებში.
12. ხე-ტყის საწყობი ქალ. ქუთაისში და
13. ხე-ტყის საწყობი ქალ. ჭიათურაში.

ამზადებს: გრეხილ და სადურგლო ავეჯეულობას, ხე-ტყის ყოველგვარ ჯიშის და ზომის მასალას, შეშას, ტრაეზებს, ტელეფონის ბოძებს, საკასრე ფიცრებს, სამადნო ბალებს, კულტურულ კაკალს, ბზას, საექსპორტო და სარეზონანსო მასალას და სხვა.

ღებულობს სხვადასხვა შეკვეთების ბითუმად და ნაწილობრივ შესრულებას დაკლებულ მტკიცე ფასებში.

ცნობებისათვის უნდა მიმართოთ: ქ. ტფილისი, მაჯაბლის ქ. № 1, ტელ. № 13—66.

ფოტოგრაფ პ. ნიკოლენკოს

სინათლითწერის სახელოსნო

ტფილისი, პლეხანოვის პრ. 107, „ნოე"-ს (ყოფ. ვეტცელის) სასტუმროს გვ.

ასრულებს ყოველგვარ სამხატვრო-საფოტოგრაფიო სამუშაოს, პორტრეტებს, ჯგუფებს, ფოტოესკიზებს და სხ.

ადიდებს სურათებს

ფოტოგრაფია ღიაა ყოველდღე 10—5 ს 1-1

ფოტოგრაფია ევ. ქვანიასი

(რუსთველის პრ. № 8, „ზარია ვოსტოკა"-ს რედაქციის გვერდით, ეზოში, მუშათა სასახლის პირდაპირ)

ასრულებს ყოველგვარ

საფოტოგრაფიო სამუშაოს

სუფთად, ხელოვნურად, სწრაფად.

8—5